გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№64 (959) 18 – 19 ივნისი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ინტერვიუ

გიორგი მარგველაშვილი ადმინისტრაციის უფროსად ნინო ბურჯანაძის პარტიის ყოფილ გენმდივანს ნიშნავს

გვ. 2

ნაციონალური პროვოკაცია მარნეულში

რა სცენარი გაათამაშა ოპოზიციამ შიდა ქართლში და აწყობდა თუ არა „ქართულ ოცნებას“ მოხსნილი კანდიდატის სასარგებლოდ არჩევნების გაყიდბება?

გვ. 3

კახა კახიშვილი არჩევნებს აფასებს და უმართავ პროცესებს პროგნოზირებს

გაძლიერებული ნაციონალები, დასუსტებული ოპოზიცია და „ოცნება“ სირაქლემას პოზაში

გვ. 4

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი გახდება?!

როგორ გადაინაწილებენ ადგილებს პარტიები დედაქალაქის თვითმმართველ ორგანოში

გვ. 6

ფეხბურთის „ჩემპიონატი“ ზონაზე

პატიმრის დღიური

გვ. 7

ციხის დირექტორთან დადებული სანაძლეო, გიორგი დემეტრაძის განწირთნილი გუნდი და ადმინისტრაციის გუნდის დამარცხების გამო დაწესებული ორკვირიანი მძიმე სასჯელი

მეროობის კანდიდატთა „ბლეფი“

გვ. 5–6

ტყუილი დაპირებები — რატომ ვერ შეძლებდა მედია მგზავრობის გადასახადის შემცირებას, ლორთქიფანიძე ბიზნესის ხელშეწყობას, კუკავა ბიზნესსესხების გაცემას, ინაშვილი კი ბინების უფასოდ დარიგებას

გიორგი მარგველაშვილი ადმინისტრაციის უფროსად ნინო ბურჯანაძის პარტიის ყოფილ გენმდივანს ნიშნავს

„ვერსიის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ლაშა აბაშიძის ნაცვლად, დავით პატარაია უხელმძღვანელებს.

დავით პატარაია, ამჟამად, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანია, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე გიორგი მარგველაშვილის ბრძანებით, 2013 წლის 13 დეკემბერს დაინიშნა. მისი ბეგრაუნდი კი ასეთია: 1990 წელს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მუშაობდა, 1992 წელს იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1993 წელს საქართველოს პარლამენტის წამყვანი ექსპერტი გახლდათ. 2000-2007 წლებში კი, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში კომისიის წევრის თანამდებობაზე მუშაობდა. 2008 წელს კი, დავით პატარაია ნინო ბურჯანაძის პარტიის გენერალური მდივნად დაინიშნა და ყოფილი სპიკერის პარტიის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მოგეხსენებათ, გიორგი მარგველაშვილიც წლების განმავლობაში ნინო ბურჯანაძის თანამებრძოლად ითვლებოდა. იგი „დემოკრატიული განვითარების ფონდის“ დამფუძნებელთა შორის იყო, რომელიც ნინო ბურჯანაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა.

რუსუდან შელია

საქართველოს პრეზიდენტი სომხეთის პრეზიდენტს უმასპინძლებს

18 ივნისს საქართველოს სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვევა.

პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია საქართველოს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართება, რის შემდეგაც გიორგი მარგველაშვილი სომეხ კოლეგას შეხვდება პირისპირ და გაფართოებული შემადგენლობით.

შეხვედრის დასრულების შემდეგ ორი ქვეყნის ლიდერები მედიისთვის ერთობლივ განცხადებებს გააკეთებენ. მოგვიანებით, სერჟ სარგსიანი გიორგი მარგველაშვილთან ერთად რუსთაველის თეატრში საიათნოვას დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ გალაკონცერტსაც დაესწრება.

ვიზიტის ფარგლებში, სომხეთის პრეზიდენტი გვირგვინით შეამკობს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალს.

სომხეთის პრეზიდენტი შეხვედრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთანაც გამართავს.

სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ერთად, დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან სომხეთის საგარეო საქმეთა, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, კულტურისა და დიასპორის მინისტრები, ასევე სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების ვიცე-პრეზიდენტი და საკანონმდებლო ორგანოს სხვა წარმომადგენლები.

სერჟ სარგსიანი საქართველოდან სომხურ დელეგაციასთან ერთად 19 ივნისს გაემგზავრება.

„პირველი“

სახელმწიფო პრემიები პრეზიდენტიდან მთავრობის კომპეტენციაში, სავარაუდოდ, მომავალ სხდომაზე გადავა

ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში, შოთა რუსთაველის სახელობისა და ეროვნული პრემიების საკითხის განხილვა, მთავრობის მომავალი სხდომისთვის გადაიდო.

ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურის განცხადებით, აღნიშნული სახელმწიფო პრემიები პრეზიდენტისგან მთავრობის კომპეტენციაში გადადის. მისივე თქმით, მიმდინარეობს კონსულტაციები — მათ გაცემაში ისეთი მექანიზმები უნდა იყოს ჩადებული, რომ ეს პრემიები მხოლოდ ყველაზე ღირსეულმა ადამიანებმა მიიღონ. **„საქართველოში კონსტიტუცია შეიცვალა და ძალიან ბევრი უფლებამოსილება, რაც პრეზიდენტს ჰქონდა, მთავრობას გადაეცა. საუბარია არა პრეზიდენტის უფლებებზე, არამედ იმაზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია და ეროვნული პრემიები რა წესით ან როგორ უნდა გაიცეს“.**

საკითხს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკოც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვისას, სხდომაზე საუბარი აღნიშნული პრემიების მნიშვნელობის გაზრდაზე იყო. კულტურის სამინისტრო მიიჩნევს, რომ ამ პრემიებმა გარკვეული გაუფასურება განიცადა და ამიტომ, საუბარია მისი მნიშვნელობის გაზრდაზე. მთავარი აზრი არის სწორედ ეს და არა პრეზიდენტისგან პრემიერის ხელში გადასვლა.

„ინტერპრესნიუსი“

შეწყალების კომისიას ახალი ხელმძღვანელი ეყოლება

ალეკო ელისაშვილი, სავარაუდოდ, შეწყალების კომისიაში ვეღარ დაბრუნდება.

როგორც ელისაშვილი აღნიშნავს, ამ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტს შეხვდება და ისაუბრებს, თუ ვინ იქნება მისი შემცვლელი შეწყალების კომისიაში: **„რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შეთავსებით ორ პოსტზე ყოფნას კანონი კრძალავს და შეუძლებლად მიმაჩნია, განვახორციელო დეპუტატის უფლებამოსილებაც და ვიყო შეწყალების კომისიაშიც. შეწყალების კომისიაში თავდაუზოგავად ვმუშაობდი. ეს ნიშნავს, რომ ერთგან უნდა ვიზარმაცო ან მეორეგან. ასე არ შემიძლია. პრეზიდენტთან შევათანხმებ, ვინ იქნება ჩემი შემცვლელი კომისიაში. თუმცა, კომისიის ერთ სხდომას დავესწრები, როგორც წევრი და არა როგორც თავმჯდომარე“.**

მისივე თქმით, შეწყალების კომისიის სხდომა ივლისში გაიმართება და ამ სხდომას დაესწრება.

ალეკო ელისაშვილი, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, თბილისის საკრებულოს წევრობაზე იყრიდა კენჭს. წინასწარი მონაცემებით, მან არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი გახსნა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მეექვსე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი ჯონი გ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2014 წლის 27 მაისს თბილისში, გლდანის რაიონში, ნიღბიანი ჯონი გ. ყაჩაღურად თავს დაესხა „ლიბერთი ბანკის“ სერვისცენტრს, ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით დიდი ოდენობით თანხა – 4499,30 ლარი, 1300 აშშ დოლარი და 600 ევრო გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 65 საბრძოლო ვაზნა შემთხვევის ადგილიდან ნივთმტკიცებად ამოიღო.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჯონი გ. 15 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მაშინ დააკავეს, როცა ის მინსკიდან თბილისში ჩამოფრინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

სამართალდამცველებმა არჩევნებში ხელის შეშლის ფაქტზე რამდენიმე პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ნინო გიორგობიანის ინფორმაციით, სამართალდამცველებმა მარტვილის რაიონის სოფელ დოშაყეში, მარტვილის მე-16 საარჩევნო უბანზე მომხდარ შეიარაღებულ თავდასხმაში ბრალდებული ორი პირი დააკავეს.

გიორგობიანის განმარტებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 15 ივნისს, დაახლოებით დილის 06:00 საათზე შეიარაღებული პირები შეიჭრნენ მარტვილის მე-16 საარჩევნო უბანში, იარაღის მუქარით ბიულეტენები გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. პოლიციამ გატაცებული ბიულეტენები დალუქულ მდგომარეობაში საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იპოვა. გამოძიება არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში ნების განხორციელებისთვის ხელისშეშლის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 162-ე მუხლით.

შსს-ს ინფორმაციით, ასევე ხონის რაიონის სოფელ ძეძილეთში მომხდარ ინციდენტში მონაწილე პირებს ბრალი 163-ე მუხლით წარედგინათ, რაც საარჩევნო ან სარეფერენდუმო კომისიის მუშაობისთვის ხელისშეშლას გულისხმობს. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულები 15 ივნისს 20:30 საათზე 22-ე საარჩევნო უბანში შეიჭრნენ, საარჩევნო ყუთი დააზიანეს და ბიულეტენები დახიეს. სამართალდამცავებმა აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება შეტყობინებისთანავე მოახდინეს. დაიკითხნენ შემთხვევის თვითმხილველები.

ასევე, დედოფლისწყაროს რაიონში საარჩევნო უბნებზე მომხდარ ხულიგნობის ფაქტებზე დაკავებულია სამი პირი. ორი პირი დედოფლისწყაროში, რუსთაველის ქუჩაზე, ღამით, საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში იმ დროს მივიდა, როდესაც იქ ამომრჩეველთა ხმების დათვლის პროცედურა მიმდინარეობდა. მათსა და საოლქო კომისიის წევრებს შორის წარმოიშვა ურთიერთშელაპარაკება, რაც შენობის გარეთ გაგრძელდა. ბრალდებულებმა საოლქო კომისიის წევრებს სიტყვიერი, ხოლო მე-7 საარჩევნო უბნის უფროსს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გამოძიება ჯგუფურად ჩადენილი ხულიგნობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 239-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ხოლო დედოფლისწყაროში, გომელაურის ქუჩაზე, №3 ბაგა-ბაღში განთავსებულ 20 საარჩევნო უბანში, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა პირმა ერთ-ერთ დამკვირვებელს, ურთიერთშელაპარაკებისას, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ პნევმატური იარაღიდან ჰაერში ერთხელ გაისროლა. გამოძიება ხულიგნობის ფაქტზე მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ს 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით.

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ან მხარდამჭერები, ვინც მსგავსი ტიპის პროვოკაციული ქმედებებისგან თავს არ შეიკავებს, კანონის შესაბამისად, უმკაცრესად დაისჯებიან.

„ვერსიანიუსი“

რუსუდან შელია
557-100-768

ნაციონალური პროვოკაცია მარნეულში



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე მარნეულის რაიონი ცხელ წერტილად იქცა. მას შემდეგ, რაც ნაციონალური მოძრაობის გამგებლობის კანდიდატი აკმამედ იმამყულიევი მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის დადგენილებით არჩევნებიდან მოიხსნა, ნაციონალები გიგი უგულავას მეთაურობით კომისიის თავმჯდომარეს დაუპირისპირდნენ. მეტიც, თბილისის უფლებაშეჩერებულმა მერმა უგულავამ, იკმამედ იმამყულიევის არჩევნებიდან მოხსნის დადგენილება საჯაროდ დახია და წევრებს შემდეგი სიტყვებით მიმართა — „მართლა ნუ გახვედით თავზე, ბიჭო!“

მოგვიანებით გაირკვა, რომ თბილისის ყოფილ მერს საკუთარი თავი ტელევიზორში არ მოწონებია და საზოგადოებისთვის ბოდიშის მოხდა გადაწყვიტა — ყვირილი ლამაზი არ არის, მაგრამ ხანდახან ასეც ხდებაო. ბოდიში იქით იყოს და, საქალაქო სასამართლომ მარნეულში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი აღადგინა. თუმცა ოპოზიციური ძალის წარმომადგენლები მარნეულის ქუჩებში მაინც შეშფოთებული სახეებით დარბოდნენ — „ოცნება“ გვდევნის და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ავიწროებსო. ნაციონალებმა კიდევ რამდენიმე ვიდეომასალა გამოაქვეყნეს. ერთ-ერთის გასაჯაროებისას კი განაცხადეს, რომ მარნეულის ოლქში არჩევნებს ძიუდოს ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი თამაზ ნავერიანი აყალბებდა.

პროცესებს ქრონოლოგიურად გავყვეთ: ესკალაციის თავიდან აცილების მოტივით, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭომ მარნეულში გამგებლობის საკუთარ კანდიდატ მერაბ თოფჩიშვილს კანდიდატურის მოხსნა ეთნიკურად აზერბაიჯანელი 2 ოპოზიციური კანდიდატის სასარგებლოდ ურჩია. მართალია, თავდაპირველად მერაბ თოფჩიშვილმა პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება არ მიიღო და წინასაარჩევნო კამპანიის გაგრძელებაზე ისაუბრა, მაგრამ საბოლოოდ, კანდიდატურა მაინც მოხსნა. გადაწყვეტილების მიღების მიუხედავად, ბიულეტენიდან მისი სახელის ამოღება ვერ მოხერხდა, რადგან ცესკო-ს განცხადებით, კანდიდატურის მოხსნის ვადები ამოწურული იყო და ჩამონათვალში ცვლილებები ვერ განხორციელდებოდა. ცესკო-ს სპიკერმა **ეკა აზარაშვილმა** მაშინ განაცხადა: **„კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით საჯარო განცხადებები ბიულეტენში არსებულ ჩამონათვალზე გავლენას ვეღარ მოახდენს. შესაბამისად, კანდიდატები საარჩევნო ბიულეტენებში რჩებიან და საარჩევნო კომისია მათ ხმებსაც დაითვლის“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი **გიორგი ვოლსკიც** აცხადებს, რომ მერაბ თოფჩიშვილის მოხსნით კოალიციამ აზერბაიჯანელ ხალხს სასურველი კანდიდატის არჩევის შესაძლებლობა მისცა: **„პოლიტსაბჭომ გადაწყვიტა, მარნეულის მოსახლეობისთვის მისაღები კანდიდატი აერჩია. ამაში არაფერია გაუგებარი, თუმცა რატომღაც, ზოგიერთები კომენტარების ინტერპრეტირებას ცდილობენ. საბოლოოდ, საზოგადოებამ გადაწყვიტა, მხარი მერაბ თოფჩიშვილისთვის დაეჭირა, მათი სურვილი კი ჩვენთვის უზენაესია. სწორედ ესაა დემოკრატია“.** არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მიერ მოხსნილმა კანდიდატმა მერაბ თოფჩიშვილმა, ამომრჩეველთა ხმების 52.48% მიიღო, შესაბამისად, გაიმარჯვა, ნაციონალურმა მოძრაობამ კი, მარნეულის ერთ-ერთ ოლქში არჩევნების გაყალბების კადრები, ამჯერადაც გიგი უგულავას ხელით გაავრცელა. კადრებში ნათლად ჩანს, როგორ ყრიან ბიულეტენებს საარჩევნო ურნაში. მერყოფილმა „ქართულ ოცნებას“ ხმების ხელახალი გადათვლა ან მეორე ტურის ჩატარება მოსთხოვა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ მარნეულში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მესამე პრიმა მუხლით დაიწყო. უწყებაში აცხადებენ, რომ ინციდენტში მონაწილე ყველა პირი, პოლიტიკური კუთვნილების მიუხედავად, მკაცრად დაისჯება. მმართველი კოალიცია კი, კადრების გავრცელებას კარგად დაგეგმილ პროვოკაციას უკავშირებს, რომელიც საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციისკენაა მიმართული: **„ნაციონალურ მოძრაობას აქტივისტების განსაკუთრებული მობილიზება ჰქონდა გამოცხადებული. როგორ მოხერხდა, რომ ასე ღიად ხდებოდა ხმების გაყალბება და მათ არც ერთ წარმომადგენელს ამაზე პრეტენზია საჯაროდ არ გამოუთქვამს? აღარაფერს ვამბობთ ადგილობრივებისთვის ცნობილ ფაქტზე, რომ კადრებში აღბეჭდილი პიროვნება ნაციონალური მოძრაობის დეპუტატის, აზერ სულეიმანოვის ახლობელი და მეგობარია“.**

ქვემო ქართლის მიმართ ნაციონალური მოძრაობის გაძლიერებულ ინტერესზე საუბრობს „ვერსიასთან“ გარდაბანში „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი **არმაზ ხარძიანიც**: **„არამხოლოდ მარნეულში, ნაციონალური მოძრაობა, ზოგადად, ქვემო ქართლში ვითარების არევითაა დაინტერესებული, რადგან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ტერიტორიაა. საკმაოდ ბინძურ თამაშს თამაშობენ და სახელმწიფოს აშანტაჟებენ — მარნეულსა და გარდაბანში ეთნიკურ კონფლიქტს ავაფეთქებთო. სწორედ ამიტომ, ვითარების დასარეგულირებლად ხელისუფლება საკმაოდ ბევრ დათმობაზე მიდის. მერაბ თოფჩიშვილის არჩევნებიდან მოხსნის ფაქტიც სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა. საბედნიეროდ, ხალხმა კოალიციას მხარი დაუჭირა. ნაციონალებს კი ნდობა არ გამოუცხადა. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ვითარების დაძაბვას არჩევნებამდეც აქტიურად ცდილობდნენ. მათი მიზანი გარდაბანში სვანებსა და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების გაღვივება იყო... განსაკუთრებით, ახალგაზრდობას არწმუნებდნენ — თუ „ქართული ოცნება“ არჩევნებში გაიმარჯვებს, აზერბაიჯანელებს გარდაბნიდან სვანები გაყრიანო. უფროს თაობას ამ სიცრუის არ სჯეროდა — კოალიცია ორი წელია ხელისუფლებაშია და ამის სურვილი რომ ჰქონოდათ, აქამდე გააკეთებდნენო. ახალგაზრდები კი, ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერით არჩევნებში გააქტიურდნენ. ნაციონალებმა გარდაბნის ოლქში გივი თარგამაძეც ჩამოიყვანეს, შესაბამისად, წინააღმდეგობას ვერავინ ბედავდა. რაც მთავარია, არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიარა და ნაციონალებს პროვოკაცია არ გამოუვიდათ. არჩევნების დღეს ოქმში მხოლოდ ერთი საჩივარი დაიწერა, ისიც იმის გამო, რომ ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებელს, ბეიჯზე ალექსანდრეს ნაცვლად ლექსო ეწერა. ნაციონალები იგივე სცენარით მუშაობდნენ მარნეულშიც — აზერბაიჯანელებსა და ქართველებს შორის დაპირისპირების გამწვავება სცადეს. როცა პროცესმა საკმაოდ მასშტაბური სახე მიიღო, „ქართულმა ოცნებამ“ ორი აზერბაიჯანელი ოპოზიციონერის სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. სწორედ ამ დროს, მარნეულში ჩავედი და აბსოლუტურად განსხვავებული ვითარება დამხვდა: საინფორმაციო გამოშვებებში აცხადებდნენ, რომ ეთნიკური კონფლიქტი ღვივდება და ადგილობრივი მოსახლეობა თოფჩიშვილის გამო ერთმანეთს დაუპირისპირდა. არადა, მერაბ თოფჩიშვილს, აზერბაიჯანელები ქუჩაში საკმაოდ თბილად ხვდებოდნენ. რაც შეეხება გავრცელებულ კადრებს, ხელისუფლების განცხადებით, ყველა დამნაშავე აუცილებლად დაისჯება. საბოლოოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებმაც აღიარეს, რომ ადგილობრივი არჩევნები აბსოლუტურად დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარდა. ამასთან, გარდაბანში, სადაც 19 მაჟორიტარული ოლქია, ნაციონალებმა ვერსად გაიმარჯვეს. 15 ოლქში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, დანარჩენ ოთხში — დამოუკიდებელმა კანდიდატებმა. ასე რომ, ნაციონალურ მოძრაობას პროვოკაციები არც მომავალში გამოუვა“.**

და მაინც, რა მოხდა მარნეულში არჩევნებამდე ან რატომ გაიმარჯვა „ქართული ოცნების“ მოხსნილმა კანდიდატმა? ორი ლოგიკური ვერსია არსებობს. ჯერ ერთი, ტრადიციულად, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები სახელისუფლო კანდიდატს უჭერენ მხარს. თანაც, „ვერსიის“ ინფორმაციით, არჩევნებამდე მარნეულში, მიზანმიმართულად გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს სახელისუფლო კანდიდატის წაგების შემთხვევაში რაიონში მიმდინარე ყველა პროექტი გაჩერდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდ დარტყმას მიაყენებდა ზოგადად რაიონს და მის მკვიდრებს, რომლებიც სწორედ ამ პროექტების წყალობით არიან დასაქმებულები ან იმედი აქვთ, რომ დასაქმდებიან. ამ ფონზე, გასაკვირი აღარ არის, რომ ადგილობრივებმა მერაბ თოფჩიშვილის მხარდაჭერა გადაწყვიტეს და არა აღარც გახსენებიათ, რომ მანამდე, დახმარებას ოპოზიციური პარტია პირდებოდა, ჩვენ მიერ უკვე ხსენებული აზერ სულეიმანოვის ხელით. როგორც კი ნაციონალებმა ვითარება „იყნოსეს“ და მიხვდნენ, რომ ადგილობრივების მხარდაჭერის იმედი აღარ უნდა ჰქონოდათ, წყალწაღებულებივით ხავსს ჩაეჭიდნენ და მარნეულში არჩევნების ჩასაშლელად ყველა ღონეს მიმართეს. „ვერსიის“ ინფორმაციით, გიგი უგულავას მიერ გასაჯაროებულ ვიდეოკადრებზე აღბეჭდილი დარღვევაც დიდი „ნაციონალური პროვოკაციული სქემის“ ნაწილი იყო. გაყალბების სცენარის პრეისტორია კი ასეთია და ის, ვერსიის ინფორმაციით, გარდაბანშიც დაფიქსირდა — ყოფილი სახელისუფლო პარტიის ერთ-ერთი მხარდამჭერი გარდაბნის 6 უბანში მივიდა და „ქართულ ოცნებას“ გაყალბებაში დახმარება შესთავაზა. „ქართული ოცნების“ დამკვირვებლები პროვოკაციას არ წამოეგნენ — არჩევნებზე ისედაც მაღალი აქტივობაა, ამიტომ შედეგების გაყალბება არაფერში გვჭირდებაო. დაახლოებით იგივე სცენარი გათამაშდა მარნეულშიც, ოღონდ ამჯერად წარმატებით — ნაციონალებმა უბნებზე თავისი ხალხი მიიყვანეს, ბიულეტენები ჩააყრევინეს და მეტიც, ვიდეოგადაღებაც თავად უზრუნველყვეს საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად. ნაციონალებმა ვიდეომასალა გაავრცელეს და ხელისუფლება გაყალბებაში დაადანაშაულეს. ვითარებას თუ გავაანალიზებთ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში, პიარტექნოლოგიებში დახელოვნებული ნაციონალები „ჩაიჭრნენ“ — მარნეულში განვითარებული მოვლენები გამოძიებას საჭიროებს და მხოლოდ ვიდეომასალის გავრცელებით, ბევრი რამ ვერ მტკიცდება. მეტიც, არაერთი კითხვა ჩნდება, რომელზეც პასუხის გაცემა საზოგადოებისთვის მიგვინდვია: რაში სჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“ არჩევნების გაყალბება მაინცდამაინც მოხსნილი კანდიდატის სასარგებლოდ, მით უმეტეს, რომ მისთვის, სტრატეგიულად, სხვა რაიონები ბევრად მნიშვნელოვანი იყო, მაგალითად, თბილისი, სადაც ფაქტია, კოალიციის კანდიდატმა დავით ნარმანიამ საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა და მეორე ტურისთვის ემზადება? მარნეულში მერაბ თოფჩიშვილს 15 852-მა ადამიანმა მისცა ხმა, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს კი — 9 712-მა. ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ მარნეულის №22, 25, 57 ოლქში არჩევნები გაყალბდა. უგულავას მიერ ვიდეომასალის გამოქვეყნების შემდეგ, ცესკო-მ მარნეულის 25-ე და 57-ე უბნების შედეგები ბათილად სცნო. არ კონკრეტდება, რამდენი ხმა გაყალბდა ამ უბნებზე, მაგრამ, როგორც „ვერსიას“ ცესკო-ში განუცხადეს, ამ უბნების ბათილად ცნობა არჩევნების შედეგებზე გავლენას არ ახდენს და გამარჯვებული კვლავ თოფჩიშვილია. ჯერჯერობით ისიც უცნობია, დარჩენილი 10 საჩივრის განხილვის შემდეგ, დაინიშნება თუ არა მეორე ტური მარნეულში. ეს ფაქტი ხომ არ ამტკიცებს, რომ ვიდეომასალის გამოქვეყნება ნაციონალების ფანდი იყო? და კიდევ ერთი, მთავარი კითხვა: რატომ დაინიშნა ნაციონალური მოძრაობის ქვემო ქართლის კურატორად გიგი უგულავა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას, ამ რაიონში ერთხელაც არ ჩასულა?

ვერსიანიუსი

ირაკლი ღარიბაშვილი ალექსანდრე ჭიკაიძეს მადლობას უხდის

მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც, მისი შეფასებით, ძალიან კარგად იმუშავა.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პრაქტიკულად ყველგან გაიმარჯვა და ყველა საკრებულოში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა: **„საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებიდან, რომელთა საერთო რაოდენობა არის 1049 კანდიდატი, 881 მაჟორიტარი არის კოალიცია „ქართული ოცნების“, რაც დაახლოებით 77, 4%-ია. დანარჩენი კი სხვა დანარჩენი ოპოზიციის და საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი კანდიდატები არიან. რაც შეეხება იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებსაც მეორე ადგილის პრეტენზია აქვთ, ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობას, მათ მაჟორიტარი კანდიდატებიდან მხოლოდ 6,1%-ის გაყვანა შეძლეს. ეს არის ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, რომ მათი რეალური რეიტინგი არის 6%“.**

პრემიერ-მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძეს და მის უწყებასაც გადაუხადა მადლობა. ირაკლი ღარიბაშვილის შეფასებით, **„ყველაფერი ძალიან კარგი ორგანიზებული იყო და მთლიანობაში არჩევნებმა ჩაიარა ძალიან მშვიდ და დემოკრატიულ გარემოში. განსაკუთრებული მადლობის ღირსია ალექსანდრე ჭიკაიძე და მისი უწყება. მინდა, თითოეულ თანამშრომელს მადლობა გადავუხადო, ისინი 24 საათის განმავლობაში მუშაობდნენ და იცავდნენ წესრიგსა და უსაფრთხოებას“.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი უცხოელ პარტნიორებს ობიექტური და ღირსეული შეფასების გაკეთებისთვის მადლობას უხდის: **„მინდა, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ ეს ისტორიული არჩევნები და მადლობა გადავუხადო ჩვენს უცხოელ პარტნიორებს ობიექტური და ღირსეული შეფასებისთვის“.** მისივე განმარტებით, ხელისუფლება ძალიან აფასებს და ყოველთვის გრძნობს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას.

„ინტერპრესნიუსი“

კახა კახიშვილი არჩევნებს აფასებს და უმართავ პროცესებს პროგნოზირებს

გაძლიერებული ნაციონალები, დასუსტებული ოპოზიცია და „ოცნება“ სირაქლემას პოზაში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

არჩევნების შედეგებით ირკვევა, რომ მერი მხოლოდ ოთხმა ქალაქმა — ქუთაისმა, ზუგდიდმა, ამბროლაურმა და ახალციხემ აირჩია. მეორე ტური 8 ქალაქში, მათ შორის თბილისშიც, ივლისის ბოლოს გაიმართება, ასე რომ, „გამარჯვებულმა მერმა ნარმანიამ“ დედაქალაქის თავკაცობა, „ოცნების“ ლიდერშიპთან ერთად, დროზე ადრე იზეიმა. ის და მელია ახლა მეორე რაუნდში შესახვედრად ემზადებიან. „უალტერნატივო ოცნებას“ რამდენიმე ოლქში ნინო ბურჯანაძისა და ირმა ინაშვილის გამგებლობის კანდიდატებიც შეხვდებიან, დანარჩენ 8 ქალაქში კი ნაციონალური მოძრაობა შეეჯიბრება. ბურჯანაძე ფიქრობს, რომ „ოცნებამ“ არჩევნები ნაციონალების სასარგებლოდ გააყალბა, ხელახალ არჩევნებს ითხოვს ნათელაშვილ-ტყაბლაძის მშრომელთა დუეტი, ამ ყველაფრის ფონზე კი „ლურჯების“ მინისტრი თეა წულუკიანი ასკვნის, რომ „წითლები“ დამარცხდნენ. აი, ასეთი აბსურდული ვითარებაა ქვეყანაში ადგილობრივი არჩევნების შემდეგ და ექსპერტ კახა კახიშვილის შეფასება, რომ საქართველოში მართვის კრიზისია, სწორედ დროულია. რა ფორმებს მიიღებს ეს კრიზისი ადგილობრივ დონეზე და რაში გადაიზრდება 2016 წელს — მოსალოდნელი საფრთხეებისა და 2014 წლის არჩევნების შედეგების შესახებ, „ვერსია“ საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს, კახა კახიშვილს ესაუბრა.

— ხალხმა ჩუმი პროტესტი არჩევნებზე არმისვლით გამოხატა — ეს თქვენი პირველი შეფასებაა. რას აპროტესტებს ხალხი სახლში ყოფნით?

— 2012 წლის 1 ოქტომბერს ხალხის მასობრივი პროტესტი სწორედ არჩევნებზე მისვლითა და ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ხმის მიცემით გამოიხატა. ხალხმა „ოცნებას“, როგორც ნაციონალების მოშორების ერთადერთ გზას, მხარი ავანსად დაუჭირა. 2014 წლის 15 ივნისს კი ჩუმი პროტესტი „ოცნების“ მიმართ სწორედ სახლში დარჩენით გამოხატა. ამით ხალხმა თქვა, თუ ჩემი აზრი არ გაინტერესებს კანდიდატებთან დაკავშირებით, მაშინ მათ საერთოდ არ ავირჩევო. ხელისუფლება მთელი 1,8 წელი სირაქლემას პოზაში იყო და იმის დემონსტრირებას ახდენდა, რომ ნაციონალების გარდა, სხვისი აზრი არ აინტერესებდა. შესაბამისად, ხალხმა ასეთი ხელისუფლების არჩევაზე კი არა, ზოგადად, არჩევნებზე მისვლაზეც უარი თქვა. ავანსად გაცემული ნდობის მანდატი უკვე იწურება და ეს მინიშნებაა, რომ „ქართული ოცნება“ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გაცილებით უარეს შედეგს მიიღებს. ჩანს, მთავრობას მარტო ხალხთან კი არა, საკუთარი პარტიის წევრებთან კომუნიკაციის პრობლემაც აქვს. პარტიული კრიზისის ნიშანია, არჩევნებამდე 2-3 დღით ადრე შიდაპარტიული დაპირისპირება. მარნეულის მაგალითიც აჩვენებს, რამდენად აცდენილია ხელისუფლება რეალობას. მათ ეგონათ, „ოცნების“ კანდიდატი მარნეულში არჩევნებს აგებდა და ამას კანდიდატის მოხსნა არჩიეს, თუმცა, მგონი, ამ კაცმა არჩევნები ყველაზე სუფთად მოიგო. ფაქტია, „ოცნებაში“ გადაწყვეტილების მიმღებებამდე დამახინჯებული ინფორმაცია მიდის და მათ, უბრალოდ, ატყუებენ. ალბათ, მათთან ხალხის ნაცვლადაც ეს გარემოცვა საუბრობს და ახალი მანქანების შეძენითა და პრემიებით გამოწვეულ საკუთარ კმაყოფილებაზე უამბობს.

— საარჩევნო კოდექსი თავიდანვე არ მოგწონდათ, თუმცა ამ კოდექსისა და 50%-იანი ბარიერის დაწესების დამსახურებაა, რომ თბილისსა და 7 ქალაქში მეორე ტური შედგება. ვის აწყობდა რეალურად, მოვლენების ასე განვითარება?

— რეალურად, დღეს ისევ ის და ზოგ შემთხვევაში, გაუარესებული საარჩევნო კოდექსი მოქმედებს, რაც თავიდან ბოლომდე, აგურ-აგურ ნაციონალების აწყობილია, წინა მთავრობას კი ერთადერთ მიზნად ამ საარჩევნო კოდექსით ხელისუფლებაში ყოფნის მაქსიმალურად გახანგრძლივება იყო. ეს კოდექსი „ოცნებამაც“ მშვენივრად მოირგო. ასე რომ, არჩევნები იმ კოდექსით ჩატარდა, რომლითაც, თუ ხალხს ყელში ბოლომდე არ ამოუხვედი, არჩევნების წაგება ძალიან ძნელია. მეორე ტურში კი, „ოცნება“ ნაციონალებს მოუგებს, თუმცა შესაძლოა, არასაპარლამენტო ოპოზიციის კანდიდატებთან დამარცხდეს. მეორე ტური ნაციონალებს აწყობდათ — მსოფლიოს მოივლიან და იტყვიან, მეორე პოლიტიკური ძალა, ხელისუფლების ალტერნატივა ვარო. ამის შემდეგ, მათი რიგითი აქტივისტების მიმართაც კი სამართალდამცავებს ნებისმიერი კითხვა რომ გაუჩნდეთ, ამას პოლიტიკური დევნა დაერქმევა.

— ისე, ვინ უფრო გააოცა შედეგებმა — ხელისუფლება თუ ნაციონალები?

— თავად „ოცნებისთვის“ ეს შედეგი მოულოდნელი იყო, თუმცა განაცხადეს, სწორედ ესაა დემოკრატიაო. თუ ამ შედეგსა და მეორე ტურს ელოდნენ, მაშინ ამხელა სცენებს რაღას ამონტაჟებდნენ და შამპანურებს რატომ აციებდნენ. არ ერჩივნათ, მეორე ტურისთვის უფრო ჩაციებული შამპანურები გაეხსნათ?! დღეს სათქმელი რომ არაფერი აქვთ, ასეთ შედეგს დემოკრატიას აბრალებენ. ჰოდა, მაშინ შემდეგ არჩევნებზე ნულოვანი შედეგი აჩვენონ და ეს იქნება დემოკრატიის პილოტაჟი „ოცნებისგან“.

— რამდენიც უნდა ვიძახოთ, ნაციონალური მოძრაობა დისკრედიტებული ძალააო, ფაქტია, საკრებულოების ლამის ნახევარს დააკომპლექტებს. რას ნიშნავს და რა შედეგებს მოიტანს მათი ეს მაღალი მაჩვენებელი?

— ეს იმას ნიშნავს, რომ „ოცნებას“ საკრებულოების მართვა გაუჭირდება. ყველას კარგად ესმის, ნაციონალები ის ძალა არაა, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური პოლემიკის რეჟიმში იქნება. ნებისმიერ საკრებულოში, თუნდაც მხოლოდ ერთი წევრი რომ გაიყვანონ, მასაც კონკრეტული პრობლემების შესაქმნელად გამოიყენებენ, რაც აქამდეც კარგად გამოსდიოდათ. ასე რომ, იქ, სადაც ნაციონალებს ბევრი დეპუტატი ეყოლება, „ოცნებას“ დიდი პრობლემები ელის. „ოცნება“ იმასაც ამბობდა, ნაციონალები ნელ-ნელა რადარიდან გაქრებიანო, თუმცა რადარზე პრობლემები თავად უფრო ექმნებათ. ეს იმის შედეგია, ყველა სხვა ძალას კარი მიუხურა და მხოლოდ ნაციონალებს ესაუბრებოდა. ამით ეს პარტია გააძლიერა, არასაპარლამენტო ოპოზიცია დაასუსტა და თავად თავისმართლების რეჟიმში ჩადგა. თავის დროზე, ამ კოალიციაში პარტიები მხოლოდ ხელისუფლებაში მოსასვლელად შევიდნენ. ახლა როგორ ფიქრობთ, როცა ნახავენ, „ოცნება“ ნელ-ნელა რეიტინგს კარგავს და 2016 წლის არჩევნებს ასე ამაყად ვეღარ შეხვდება, ძებნას ახალ მფარველს არ დაუწყებენ?! „ოცნებამ“ თუ ასე გააგრძელა, მისი რეიტინგი უფრო დაეცემა და დაახლოებით ისეთი სურათი შეიქმნება, როგორიც შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, 2000-დან 20003 წლამდე იყო — უმრავლესობის წევრები და მინისტრთა კაბინეტი შევარდნაძესთან თათბირობდა და მერე ანგარიშს ნაციონალებს აბარებდა. ცოტა ხანში, შესაძლოა, „ოცნების“ ლიდერებიც ერთდროულად ორ სკამზე დასხდნენ.

— ხელისუფლებაში ისევ ამ სურათს მივიღებთ? აქვე, „ოცნების“ განწყობასაც შეგახსენებთ — „წითლები“ დამარცხდნენ!

— ქვეყანაში უკვე მართვის კრიზისია და ასეც გაგრძელდება. ჩანს, გაგრძელდება ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტაციაც. ნაციონალები ძალის დემონსტრირებას უფრო შეეცდებიან. ისინი ამ შედეგს არც მოელოდნენ და ვერ იფიქრებდნენ, რომ წასვლიდან 2 წელში ასე გაძლიერდებოდნენ. ამ პარტიამ მაქსიმუმი შეასრულა და მეორე ტურამდე დარჩენილ დროსაც მხოლოდ გაძლიერებისთვის გამოიყენებს. უფრო გაძლიერდებიან 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვისაც, „ოცნება“ კი, თუ ასე გააგრძელებს, რეალობას უფრო აცდება. დღეს „წითლებს“ დამარცხების არაფერი ეტყობათ, ამიტომ „ლურჯები“ უფრო ცუდ ხასიათზე არიან! შესაბამისად, საზეიმოდ აწყობილი სცენების დემონტაჟიც სწრაფადვე მოახდინეს. როცა „ოცნების“ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები ამბობენ, არ ვიცით, ძალით ვინ შევარდა საარჩევნო უბნებზე და ვინ იყო ის 15 შეიარაღებული, ვინც ოქმები ნაციონალების სასარგებლოდ შეცვალაო, ე.ი. ხელისუფლება ძალიან არაკომპეტენტურია. ალბათ, ხელისუფლებაც ხვდება, რომ მინისტრთა ამ კაბინეტითა და პარტიული სტრუქტურებით მოღვაწეობას დიდხანს ვერ გააგრძელებს.

— დაქსაქსული არასაპარლამენტო ოპოზიციის მოღვაწეობაც შევაფასოთ: ნაწილებად დაშლილთა საერთო პროცენტი 20-მდე მაინც ავიდა. გაუშვეს თუ არა ხელიდან რეალური შანსი და ვის წაართვეს ხმები, ნაციონალებს თუ „ქართულ ოცნებას“?

— ჯერ ის შევადაროთ, რა თანხები დახარჯა თითოეულმა პარტიამ და სახელისუფლო გუნდმა წინასაარჩევნოდ. სრული იგნორირების პირობებში, ოპოზიციისთვის ესეც კარგი შედეგია. არასაპარლამენტო ოპოზიციას ბევრი ფული რომ ჰქონოდა, გაცილებით უკეთეს შედეგს დადებდა, ვიდრე „ოცნება“. რეალურად, ძალიან კარგია, ოპოზიცია ნელ-ნელა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების სტატუსს რომ იღებს. იმედია, ხელისუფლება ამის მერე მაინც აღარ იქნება მხოლოდ ნაციონალებთან თავისმართლებისა და ურთიერთობის რეჟიმში. ჩემი აზრით, გამორიცხულია, ოპოზიცია შეიკრას და მხარი „ოცნების“ ან ყოფილი მთავრობის რომელიმე კანდიდატს დაუჭიროს.

— კვლავ განყენებული შალვა ნათელაშვილი ხელახალ არჩევნებს ითხოვს, ბურჯანაძე ამბობს, რომ არჩევნები ნაციონალების სასარგებლოდ გაყალბდა. შეძლებენ თუ არა ისინი სახლში დარჩენილი ხალხის აყოლიებასა და საპროტესტო აქციების დაწყებას?

— ჩანს, წლების განმავლობაში, არასაპალამენტო ოპოზიციამ ერთი დასკვნა ვერ გააკეთა — ხანდახან საკუთარი ამბიციები უნდა გადადო, რომ ქვეყნისთვის სასიკეთო პრეცედენტი შექმნა. რაც შეეხება აქციებს. სამწუხაროდ, შესაძლოა დღეს ხალხი გარეთ არ გამოვიდეს, რადგან ძალიან მომთმენია. ჩვენი მოსახლეობა, ძირითადად, ძალადობას აპროტესტებს და რაკი „ოცნება“ ამ ხერხებს არ მიმართავს, ვფიქრობ, ამ ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული საპროტესტო გამოსვლებიც არ იქნება. ჯამში, თუ დღევანდელ და 2012 წლის საარჩევნო გარემოს შევადარებთ, რა თქმა უნდა, ეს ბევრად წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან ხალს შიში აღარ აქვს. სამაგიეროდ, სახეზე პოლიტიკური მართვის კრიზისია — ნელ-ნელა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა იკარგება და ხალხი თვითშემოქმედებაზე გადადის. დემოკრატია იმით არ გამოიხატება, რომ შეგიძლია პოლიციელი სცემო და ამისთვის პირობითი სასჯელი მიიღო. მალე ეს ყველაფერი საშიშ და უმართავ პროცესებში გადაიზრდება.

ვერსიანიუსი

„ეს არჩევნები ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ თვითმმართველობის გაძლიერებისკენ გადადგმული ისტორიული ნაბიჯია“

15 ივნისის არჩევნები, 27 ივნისს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, თვითმმართველობის გაძლიერებისკენ გადადგმული ისტორიული ნაბიჯია, — ამის შესახებ ერთობლივ განცხადებაშია აღნიშნული, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების საელჩოები ავრცელებენ.

საელჩოები ულოცავენ საქართველოს წარმატებულ და კარგად ჩატარებულ საარჩევნო დღეს, როცა ადგილობრივმა ამომრჩეველმა მერები და გამგებლები პირდაპირი წესით პირველად აირჩია: „ეს არჩევნები, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის წინ, თვითმმართველობის გაძლიერებისკენ გადადგმული ისტორიული ნაბიჯია. ჩვენი ერთობლივი სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, 95-მა დამკვირვებელმა 23 საარჩევნო ოლქში 600-ზე მეტი საარჩევნო უბანი მოინახულა. დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ჯამში, საარჩევნო გარემო იყო მშვიდი. გავრცელებული ინფორმაციით, მთელ ქვეყანაში გახსნილ 3 600-ზე მეტ საარჩევნო უბანში შედარებით მცირე რაოდენობის დარღვევები დაფიქსირდა. გვჯერა, ოპოზიციური პარტიების ძლიერი გამოსვლა და რამდენიმე ქალაქში დანიშნული განმეორებითი არჩევნები ქართულ დემოკრატიაში მზარდ პლურალიზმზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ოლქების უმეტეს ნაწილში წინასაარჩევნო გარემო იყო მშვიდი და მხოლოდ მცირე დარღვევები დარეგისტრირდა. ამავე დროს, შეშფოთებით შევნიშნავთ, რომ ვრცელდებოდა ცნობები კონკრეტულ ქალაქებში წინასაარჩევნო ინციდენტების, არჩევნებიდან ჩამოშორების მიზნით კანდიდატებზე განხორციელებული სავარაუდო ზეწოლისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ გამოჩენილი აგრესიის შესახებ“.

საელჩოები მთავრობას მოუწოდებენ, ობიექტურად გამოიძიოს აღნიშნული ბრალდებები განმეორებით არჩევნებამდე და მიიღოს საჭირო ზომები, რათა არჩევნები საქართველოში უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იყოს: **„კვლავ გულდასმით დავაკვირდებით პროცესებს, მათ შორის მომავალ წინასაარჩევნო კამპანიასა და განმეორებით არჩევნებს. ამასობაში, მოვუწოდებთ ყველა მხარეს, იმუშაონ ერთად, რათა ხელი შეუწყონ საქართველოში ეკონომიკის ზრდას, დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებასა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს“.**

„ინტერპრესნიუსი“

წინასაარჩევნო „ბოლი“ და მერობის კანდიდატთა „ბლეფი“ დაპირებები

რატომ ვერ შეძლებდა მელია მგზავრობის გადასახადის შემცირებას, ლორთქიფანიძე ბიზნესის ხელშეწყობას, კუკავა ბიზნესსესხების გაცემას, ინაშვილი კი ბინების უფასოდ დარიგებას

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, უმუშევრობა და ახალი სამუშაო ადგილები — ეს თბილისის მერობის კანდიდატთა საარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილის ძირითადი მიმართულებებია. ზოგადად, ნებისმიერ არჩევნებზე კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილი სავსეა არარეალური დაპირებებით. ეს განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამოჩნდა, როდესაც ცალკეული კანდიდატის ეკონომიკური მესიჯები თბილისის მერისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებს სცილდებოდა. ამ სტატიის მომზადება წინასაარჩევნო პერიოდში გადავწყვიტეთ, მაგრამ იმის გამო, რომ ამომრჩეველზე ზეწოლაში ბრალი არ დაედოთ, დროებით გადავდეთ. ახლა, როდესაც არჩევნების პირველი ტური დასრულდა, სადაც ამომრჩეველთა უპრეცედენტოდ დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, ვფიქრობთ, დროა, თბილისის მერობის ძირითად კანდიდატთა პროგრამების ეკონომიკური ნაწილი გავაანალიზოთ და ვნახოთ, რა იყო მათ შორის რეალური ან ირეალური. შეფასებებისა და კანდიდატთა პროგრამების გასაანალიზებლად, თითქმის ყველა ცნობილ ეკონომიკის ექსპერტსა და რამდენიმე მარკეტოლოგსაც დავუკავშირდით, მაგრამ ყველამ უარი გვითხრა მიზეზით, რომ ჯერ შედეგები საბოლოოდ ცნობილი არ არის და წინ არჩევნების მეორე ტურია. ვფიქრობთ, სწორედ მეორე ტურის წინ უნდა შევაფასოთ რეალობა, რათა ამომრჩეველი აღარ მოტყუვდეს. ერთადერთი ექსპერტი, რომელმაც საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაზე უარი არ განაცხადა და რომელსაც „ვერსია“, მისი კოლეგების დახმარებით დაუკავშირდა, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი ზურაბ გარაყანიძე გახლავთ.

მილიონი ხე თბილისში

„ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს, დავით ნარმანიას ჯერ „არათბილისელობა“ დაუწუნეს, მერე მკვეთრად გამოხატული მეგრული აქცენტი და ბოლოს „ტარზანიც“ კი უწოდეს იმის გამო, რომ თბილისსა და მის შემოგარენში მილიონი ხის დარგვას დაგვპირდა. თუ ნარმანია მეორე ტურში გაიმარჯვებს, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, თბილისის მერია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დასაფინანსებლად 800 000 000 ლარზე მეტს დახარჯავს. ნარმანია პროფესიონალი ეკონომისტი და საკმაოდ ძლიერი მენეჯერია და ალბათ, ესაა მიზეზი, რომ მისი პროგრამის ეკონომიკური ნაწილი საკმაოდ რეალისტურია. საარჩევნო პროგრამის თანახმად, სოციალურად დაუცველი ოჯახი ახალდაბადებულ ბავშვზე 500-ლარიან დახმარებას მიიღებს. თბილისის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, მიუსაფარი ადამიანების დახმარება, დევნილთა პრობლემები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, უმუშევრობა და ქალაქის გამწვანება — დავით ნარმანიას პროგრამის პრიორიტეტებია.

„ჩვენ ვიზრუნებთ ქალაქის ეკოლოგიაზე, ტყის აღდგენასა და რეკრეაციული ზონების გაფართოებაზე, ამიტომ დედაქალაქში დავრგავთ და გავახარებთ 1 000 000 ხეს. თბილისის მერია არც ერთ სამშენებლო პროექტს არ დაამტკიცებს, თუ მასში გამწვანებისა და პარკირების კომპონენტები არ იქნება გათვალისწინებული“, — ამბობდა ნარმანია და სწორედ მილიონი ხის დარგვაა ის თემა, რომელიც კითხვისნიშნებს აჩენს. საინტერესოა, როგორ ან რა სახსრებით აპირებს ბატონი დავითი თბილისში მილიონი ხის დარგვასა და დედაქალაქის ულრან ტყედ გადაქცევას. რა თქმა უნდა, საკმაოდ გამოცდილი და პროფესიონალი ეკონომისტი არ დაუშვებს, მილიონი ხის ნერგის შესაძენად, თბილისის ბიუჯეტში სხვა, რომელიმე პრიორიტეტული სფეროს დაფინანსება შეამციროს. მოკლედ, ნარმანია ნიკო ფიროსმანი არ არის, რომელიც მთელ ქონებას მილიონ ვარდში დაახურდავებს, მაგრამ თუ თბილისის მთავრობის ან საკრებულოს წევრებს არაადეკვატურად მაღალ ხელფასსა და პრემიას არ გამოუწერს, მილიონს თუ არა, ნახევარ მილიონ ხეს უეჭველად დარგავს.

ზურაბ გარაყანიძე: „ნარმანიას არ უთქვამს, რომ მილიონ ხეს ქალაქის ცენტრში დარგავს, თბილისის შემოგარენს რომ გახედოთ, ცუდი არ იქნება, თუკი ვინმე მის გამწვანებაზე იზრუნებს. ზოგადად, ეს ცუდი იდეა არ არის, მაგრამ ზუსტად უნდა განვსაზღვროთ, რა სახსრებით აპირებს ქალაქის შემოგარენის გამწვანებას. თუ მაგალითად, საკრებულოს ზედმეტ ხარჯს მოაკლებს, რა თქმა უნდა, კარგი იქნება. დავით ნარმანიას პროგრამაში ყველაზე მეტად საინტერესო, პროგრამული და მიზნობრივი ბიუჯეტის შექმნის კონცეფციაა თბილისში, რაც საკმაოდ პროგრესული ნაბიჯია. ევროპის ყველა მოწინავე ქვეყანაში, სადაც თვითმმართველობებია განვითარებული, ბიუჯეტის შედგენის საფეხურები პროგრამული და მიზნობრივი ამოცანების გადაწყვეტას ეყრდნობა“.

„არაო, არაო, მელა მაჭყუარაო, არ ნამოვალთ, არაო“...

ბიზნესის განვითარება, დასაქმება, სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობის შემცირება და ყველა მოქალაქის ოჯახში კეთილდღეობის შეტანა, — ეს ნაციონალური მოძრაობის თბილისის მერობის კანდიდატის, ნიკა მელიას წინასაარჩევნო დაპირებების ნაწილია. „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრიასა“ და „ოცნებები არ სრულდებას“ შემქნელებისგან ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პროგრამის ეკონომიკურ ნაწილში ისეთი აბსურდული დაპირებები მოვისმინეთ, ამას ისევ შევარდნაძისდროინდელი მილიონი სამუშაო ადგილის ბლეფი სჯობდა.

დედაქალაქის ეკონომიკური განვითარებისთვის, ნიკა მელია გადასახადების შემცირებას, საწვავსა და გაზზე აქციზის გადასახადის გაუქმებას, საგადასახადო ამნისტიასა და ახალ რეგულაციებზე მორატორიუმის დაწესებას აპირებდა. პროფესიონალი, გამოცდილი და მენეჯერული თვისებებით დაჯილდოებული, ძლიერი ეკონომისტების სიმცირეს ნაციონალური მოძრაობა აშკარად არ უნდა უჩიოდეს და ნუთუ, თვალთახედვის არედან გამორჩათ, რომ გადასახადების შემცირება, მით უმეტეს აქციზის გადასახადის გაუქმება, თბილისის მერის კი არა, საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა?! მეტიც, ნიკა მელია თბილისელებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრობის საფასურის 20 თეთრამდე გაიაფებასაც გვპირდებოდა, მაგრამ დალოცვილო, ოთხიოდე წლის წინ, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების პირობებში არ ჩატარდა ყვითელი მიკროავტობუსების ავადსახსენებელი და სკანდალური ტენდერი? განა, ამ ტენდერში, სააკაშვილთან დაახლოებულმა ბიზნესმენებმა, მეხინკლე ძმებმა შარანგიებმა არ გაიმარჯვეს და მერე, როგორ? ტენდერამდე, რამდენიმე საათით ადრე, დააფუძნეს ოთხი კომპანია, რომლებიც ზუსტად იგივე მისამართზე დაარეგისტრირეს, რომელზეც რესტორანი „შემოიხედე გენაცვალეა“ რეგისტრირებული და გიგი უგულავას დახმარებით, „მარშუტკების“ ტენდერი მოიგეს. მგზავრობის საფასური კი 50 თეთრიდან 80 თეთრამდე გაზარდეს და თბილისელები დაარწმუნეს, რომ კონდიცირებული, კომფორტული სამარშრუტო ტაქსების შენახვა ძვირი სიამოვნება იყო? უკაცრავად, ბატონო ნიკა, მაგრამ „თქვენი მოსატყუებელი კბილი, დიდი ხანია, მოვიცვალეთ“ და თქვენდა სამწუხაროდ, ამ სისულელეების აღარ გვჯერა!

ნიკა მელიას წინასაარჩევნო პროგრამის ეკონომიკური ნაწილის რეალური დაპირებები სოციალურ სფეროს ეხება, რომლის მიხედვით, სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის, პენსიონერებისთვის, სოციალურად დაუცველებისა და პედაგოგებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტი უფასო იქნებოდა. მისი პრიორიტეტებია ავტოპარკის სრული განახლება და ქალაქის თანამედროვე საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა. გამარჯვების შემთხვევაში, მელია მეტროპოლიტენის ქსელის განვითარებასა და თანამედროვე ტრამვაის პროექტის განხორციელებასაც აპირებს, რაც საკმაოდ რეალისტურია.

ზურაბ გარაყანიძე: „რაც შეეხება გადასახადების შემცირებას, ეს დაპირება სრული აბსურდია, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 91-ე მუხლის მიხედვით, ნებისმიერი გადასახადის შემოღება ან გადასახადისგან გათავისუფლება, საქართველოს პარლამენტის პრეროგატივაა. შესაბამისად, ნიკა მელიას ეს დაპირება წინასაარჩევნო ლოზუნგს უფრო ჰგავს“.

ეკონომიკური „სადღეგრძელოები“ დიმიტრი ლორთქიფანიძისგან

„ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიციის“ თბილისის მერობის კანდიდატი, დიმიტრი ლორთქიფანიძე აცხადებდა, მერად არჩევის შემთხვევაში, ქალაქის განვითარების გრძელვადიანი გენერალური გეგმა — „თბილისის კონსტიტუცია“ შეიქმნებოდა. მისი თქმით, ქალაქის ეკონომიკურ განვითარებას, პოლიტიკური არასტაბილურობა და მაღალი გადასახადები აფერხებს, ნაციონალი ნიკა მელიას მსგავსად, დიმიტრი ლორთქიფანიძესაც „დაავიწყდა“, რომ მაღალი გადასახადების შემცირება პარლამენტის ფუნქციაა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზეც აკეთებდა აქცენტს, მაგრამ როგორ, რა პრინციპით ან რა მექანიზმით, არ დაუკონკრეტებია. ზოგადად, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის დაძლევა ყველა კანდიდატის დაპირებების ლაიტმოტივი იყო, რაც ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. მერად არჩევის შემთხვევაში, დიმიტრი ლორთქიფანიძე პენსიონერებისა და უმნეოებისთვის აუცილებელი მედიკამენტებისათვის, თვეში 25-ლარიანი დანამატის გადაცემას ადგილობრივი ბიუჯეტიდან აპირებდა, რაც საკმაოდ დამაჯერებელი და რეალური იყო.

ზურაბ გარაყანიძე: „ლორთქიფანიძეს ერთ რამეში აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ, რადგან დედაქალაქს განვითარების გენერალური გეგმა უნდა ჰქონდეს. რაც შეეხება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, კონკრეტული ბერკეტები თუ არ გამოჩნდება, ამ დაპირების შესრულება გაძნელდება. სხვათა შორის, არასაპარლამენტო ოპოზიცია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ბევრად უფრო მოიგებდა, თუკი მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიმართულებით, კონკრეტულ ბერკეტებსა და წინადადებებზე გაამახვილებდნენ ყურადღებას“.

„ბანკირი“ კუკავას სესხები მცირე ბიზნესისთვის

არასაპარლამენტო ოპოზიციის თბილისის მერობის კანდიდატის, კახა კუკავას ერთ-ერთი ინიციატივა მცირე ბიზნესისთვის სესხების გაცემა და ადგილობრივი მცირე მეწარმეების მაქსიმალურად ხელის შეწყობა იყო. კუკავა მიკროავტობუსების სფეროში, ახალი ტენდერის ჩატარებასა და დედაქალაქის ტერიტორიაზე, მათი რაოდენობის გაზრდასაც გვპირდებოდა. კუკავა ამბობდა, რომ მუნიციპალურ ტრანსპორტში სოციალურად დაუცველებისა და სტუდენტებისთვის შეღავათებს შეინარჩუნებდა, რაც საკმაოდ დამაჯერებლად ჟღერდა.

ერთი შეხედვით, ეს ზუსტად ის მესიჯებია, რისი მოსმენაც ამომრჩეველს აშკარად გულზე მალამოდ მოედება, მაგრამ მცირე ბიზნესისთვის სესხების გაცემა კომერციული ბანკების ფუნქციაა და არა მერიის. დავუშვათ, თბილისის მერიამ კომერციული ბანკები დაარწმუნა, რომ მცირე ბიზნესისთვის სესხები შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით გასცეს, მაგრამ ამ პროცენტის გარკვეული ნაწილი ხომ მუნიციპალიტეტმა დედაქალაქის ბიუჯეტიდან უნდა დააფინანსოს? განა, რამდენს გაწვდება თბილისის ბიუჯეტი, ან აიტანს დამატებით ხარჯებს? დროა, ქართველმა პოლიტიკოსებმა ერთი რამ გაიგონ, გაიაზრონ და ცხოვრების წესად დაიმკვიდრონ, რომ, როდესაც მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის ხელშეწყობასა და ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვაზე საუბრობენ, მათდაუნებურად, პოლიტიკის ჩარჩოებს არ გასცდნენ და ეკონომიკურ სივრცეში არ გადაიჭრან. სახელმწიფო, კომერციული სტრუქტურა ან კერძო ბიზნესი არ არის, შესაბამისად, ვერც ცენტრალური და ვერც ადგილობრივი ხელისუფლება განსაზღვრავს, რომელი სფეროა პრიორიტეტული ბიზნესში. მეტიც, სამუშაო ადგილებს ქმნის ბიზნესი, უმუშევრობის პრობლემებსაც ბიზნესი აგვარებს და ამას ვერცერთი პოლიტიკოსი გადაჭრის! ბიზნესის ხელშეწყობა გსურთ? შეღავათიანი საგადასახადო გარემო შექმენით, კანონები დახვეწეთ და ზედმეტი რეგულაციებისგან გაათავისუფლეთ. სხვა, დანარჩენი თქვენი, პოლიტიკოსების საქმე არ არის, ბაზარი გადაწყვეტს, ბიზნესის რომელი სფეროა პრიორიტეტული!

ზურაბ გარაყანიძე: „მცირე სესხების გაცემა კომერციული ბანკების ფუნქციაა, მაგრამ მეორე კუთხით შევხედავთ, არსებობს მექანიზმი, რომლითაც თბილისის მერიას, ქალაქის მუნიციპალიტეტს, კერძო ბანკებთან ხელშეკრულებების საშუალებით შეუძლია დაეხმაროს მცირე და საშუალო ბიზნესს. ამ შემთხვევაში, სესხების საპროცენტო განაკვეთების სუბსიდირებას ვგულისხმობ, მაგრამ ამისთვის აუცილებელია, რომ თბილისის ბიუჯეტში რეზერვები გამოინახოს“.

დასასრული მე-6 გვერდზე

ნინო კომახიძე
599-95-33-16

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი ფავლენიშვილი გახდება?!

შემოსახაზი შემოიხაზა, გადასახაზი გადაიხაზა და მოსახაზს მოეხაზა, — როგორც შალვა ნათელაშვილი იტყოდა. გადახაზულებს შორის თავად ნათელაშვილიც აღმოჩნდა, მაგრამ ეს საუბრის სხვა თემაა. დღეს უკვე დაზუსტებით ვიცით, რომ საკრებულოს მეორე ტური და დამატებითი ტაიმი აღარ სჭირდება — თბილისის თვითმმართველი ორგანო არჩეულია, მთავარ ინტრიგად კი კვლავ ის კითხვა რჩება, რაც ბოლო 2 თვეა განუწყვეტლივ ისმის — ვინ გახდება საკრებულოს თავმჯდომარე?! ამ კითხვაზე პასუხის გაცემა პოლიტიკურ კულუარებში ვცადეთ, ლოგიკურ ჯაჭვს გავყევით და რამდენიმე, უფრო სწორად, 3 რეალურ კანდიდატზე გავედით.

საკრებულოს ამჟამინდელი თავმჯდომარე, ექსნაციონალი ირაკლი შიხიაშვილი არათუ ამ პოსტზე მოიაზრება, არამედ საერთოდ პარტიულ სიაშიც აღარ არის. თვეების წინ ამბობდნენ, თითქოს, საკრებულოს თავკაცის პოსტს პარლამენტარ ზურაბ ტყემალაძის შვილი, გიორგი ტყემალაძე დაიკავებდა. ტყემალაძე „ოცნებამ“ პარტიული სიის ათეულში კი მოახვედრა, მაგრამ ამ პოსტზე აღარ აირჩევს. შესაბამისად, ისიც „გადახაზულია“. ერთადერთი, ვინც საკრებულოში უზურგოდ, უფულოდ და უპარტიოდ შევიდა, ჟურნალისტი ალეკო ელისაშვილია. მან საბურთალოს სამიდან ერთ-ერთ მაჟორიტარულ ოლქში ოცნება-ნაციონალებს გადაუსწრო და დამაჯერებელი გამარჯვებაც მოიპოვა. სწორედ ელისაშვილია საკრებულოს თავმჯდომარეობის სამი რეალური კანდიდატიდან ერთ-ერთიც. თუმცა საქმე ისაა, რომ თავმჯდომარეს უკვე არა ხალხი, არამედ საკრებულოს უმრავლესობა აირჩევს. თეორიულად, ელისაშვილს შანსი იმ შემთხვევაშიც აქვს, თუ მის კანდიდატურას მხარს, ხელისუფლების ჯინაზე, მთელი ნაციონალური მოძრაობა, ყველა სხვა გასული პარტიისა და თავად ოცნების წევრთა რაღაც რაოდენობა დაუჭერს, მაგრამ ეს მაინც ნაკლებსავარაუდოა. საკრებულოს უმრავლესობას ხომ სწორედ „ოცნება“ წარმოადგენს, რომელსაც ორი ძირითადი კანდიდატი ჰყავს — გიორგი მუსხელიშვილი და ირაკლი ფავლენიშვილი. გიორგი მუსხელიშვილის კანდიდატურაზე საუბარი ისედაც დიდი ხანია მიდის. პოლიტიკურ კულუარებში არასოდეს გამორიცხავდნენ, რომ ირაკლი ალასანიას პარტიის ეს საკმაოდ აქტიური წარმომადგენელი, საკრებულოს არჩევნების დასრულების შემდეგ, თავმჯდომარე გახდება. მუსხელიშვილი თბილისის საკრებულოში „ოცნების“ ფრაქციის ლიდერი და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ძალიან აქტიური დეპუტატიც იყო. წინასაარჩევნოდ, მუსხელიშვილი კოალიციამ ვაკის ერთ-ერთი მაჟორიტარული ოლქის კანდიდატად დაასახელა, სადაც, ცხადია, გაამარჯვებინა კიდეც. თუმცა აქ საკითხავია, რამდენად დაუჭერენ მხარს ალასანიასპარტიელ მუსხელიშვილს კოალიციაში შემავალი „ოცნებელები“, რესპუბლიკელები და სხვები.

ყველაზე რეალური კანდიდატი, რომლის შესახებ „ვერსია“ ინფორმაციის მოპოვებას თავად მმართველი პარტიის კულუარებში ცდილობდა, ირაკლი ფავლენიშვილია. გარდა იმისა, რომ იგი კოალიცია „ქართული ოცნების“ პროპორციული სიის პირველი ნომერი გახლდათ და რაღა თქმა უნდა, საკრებულოშიც შევიდა, ფავლენიშვილი უშუალოდ პარტია „ქართული ოცნების“ წევრია. თანაც, როგორც წესი, სიის პირველი ნომერი საკრებულოს თავმჯდომარეობასთან სხვებზე ერთი ნაბიჯით ახლოსაა. მის კანდიდატურაზე „ოცნების“ ლიდერები საჯაროდ არაფერს ამბობენ, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, დღეს საკრებულოს თავმჯდომარეობის ყველაზე დიდი შანსი აქვს. ირაკლი ფავლენიშვილი 2003 წლიდან დღემდე რეზიდენტურის პროგრამის — „ნეონატოლოგია“ დირექტორატის წევრია. პროფესიული საქმიანობის მანძილზე მომზადებული აქვს 250 პუბლიკაცია, მათ შორის ოთხი სახელმძღვანელო. 1989 წელს მან ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილის დიპლომი და მედალი მიიღო, 1993 წელს — სოდერბერგის ფონდის პრემია. ამავე წელს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი გახდა, ხოლო 1994 წელს, ჰოსპიტალური ინფექციის საერთაშორისო საზოგადოების პრემიაც დაიმსახურა. სხვადასხვა დროს, იგი დაჯილდოვებულია ლუიზიანას შტატის სამედიცინო საზოგადოების დიპლომითა და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ვერცხლის მედლით. მოკლედ, ბატონი ირაკლი დამსახურებული ექიმია და ეგეც რომ არ იყოს, უშუალოდ „ქართული ოცნების“ წევრია. ლოგიკურად, ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებსა“ და სხვა ნებისმიერი პარტიის კანდიდატზე მეტი მხარდაჭერაც სწორედ ირაკლი ფავლენიშვილმა უნდა მიიღოს საკრებულოს უმრავლესობიდან.

რაც შეეხება უშუალოდ თბილისის თვითმმართველი ორგანოს შემადგენლობას — იგი 50 წევრისგან შედგება. ნახევარს თბილისის მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებული კანდიდატები, მეორე ნახევარს კი გამარჯვებული პარტიების პარტიული სიის წევრები დააკომპლექტებენ. ორივე ნახევარში დამაჯერებლად ლიდერობს მმართველი პარტია, რომელმაც ერთის გარდა, თბილისში ყველა მაჟორიტარი გაიყვანა. სამაგიეროდ, ოპოზიციურმა პარტიებმა უკეთესი შედეგი პარტიული რეიტინგებით აჩვენეს. მაშ ასე — თბილისის საკრებულოს დააკომპლექტებენ შემდეგი პარტიები: „ნინო ბურჯანაძე — ერთიანი ოპოზიცია“, რომელსაც 10,35% აქვს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 26,13 %-ით, „შალვა ნათელაშვილი — საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ — 3,41%-ით, კოალიცია „ქართული ოცნება“ — 45, 98%-ით და „დავით თარხან-მოურავი — საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ — 6,37%-ით. რაც შეეხება თბილისის რაიონების მაჟორიტარებს ანუ იმ ხალხს, ვინც მოსახლეობამ პიროვნულად აირჩია: მთაწმინდაზე ჯაბა ჯიშკარიანი გავიდა, ვაკეში გიორგი მუსხელიშვილმა და გოჩა ბაბუნაშვილმა გაიმარჯვეს, საბურთალოზე — შორენა ბუხრაშვილმა და დავით ზურაბიშვილმა, კრწანისში — ბექა ნაცვლიშვილმა, ისანში — ილია ჯიშკარიანმა, ზურაბ ნეფარიძემ და ირაკლი აბუსერიძემ მოიგეს არჩევნები, სამგორში — ია მაკასარაშვილმა, ლევან დარახველიძემ, გულო ზუმბაძემ და ლია ჯახველაძემ, ჩუღურეთში — რამინა ბერაძემ, დიდუბეში ვლადიმერ ძნელაძემ და თამარ შურღაიამ გაიმარჯვეს, ნაძალადევში — დავით ჭელიძემ, გივი გოგლიძემ, ზურაბ კოლელიშვილმა და ჯაბა სამუშიამ, ხოლო გლდანის მაჟორიტარები კობა კობალაძე, ნინო გოგუაძე, მურთაზ შელია და ქეთევან ჯოხაძე გახდნენ. თბილისის საკრებულოს მიღმა დარჩა არასაპარლამენტო ოპოზიცია ანუ კახა კუკავასა და ფიქრია ჩიხრაძის გაერთიანება, ასევე გელა-მიხეილ სალუაშვილი, „მწვანეების“ ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე, „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერი სერგო ჯავახიძე პაატა დავითაიასთან დუეტში, სალომე ზურაბიშვილის „საქართველოს გზა“ და წვრილ-წვრილი პარტიები 0%-იანი მხარდაჭერით.

რაც შეეხება საკრებულოს უმრავლესობის პარტიულ სიას. კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მაჟორიტარები სიაში ჩასვა და ამგვარად დააზღვია, ოლქებში წაგების შემთხვევაში, საკრებულოში მაინც შესულიყვნენ, თუმცა დაზღვევა ერთის გარდა, სხვა კანდიდატს არ დასჭირვებია, შესაბამისად, მაჟორიტარებად გასული კანდიდატები ჩაიჩოჩებენ და პარტიულ სიაში ადგილს შემდეგი პირები დაიკავებენ: ირაკლი ფავლენიშვილი (პარტია „ქართული ოცნება“), გიორგი ალიბეგაშვილი („ქართული ოცნება“), გიორგი ტყემალაძე (მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს), ნუგზარ მალაღურაძე („ქართული ოცნება“), თევდორე კობახიძე („ქართული ოცნება“), ირაკლი გვილავა („ქართული ოცნება“), ავთანდილ დავითაძე (ეროვნული ფორუმი), თამარ ტალიაშვილი („ქართული ოცნება“), ხათუნა სამნიძე (რესპუბლიკური პარტია), მალხაზ მჭედლიშვილი („ქართული ოცნება“), რატი იონათამიშვილი („ქართული ოცნება“), ბესიკ ქარცივაძე („ქართული ოცნება“), გიორგი ახვლედიანი (თავისუფალი დემოკრატები), ნიკოლოზ დერიუგინი („ქართული ოცნება“), კახა ჩაკვეტაძე (ეროვნული ფორუმი), ლაშა სამხარაძე („ქართული ოცნება“), დავით სოსელია (ეროვნული ფორუმი), ირმა ზავრადაშვილი („ქართული ოცნება“), ნინელი ფუტკარაძე (თავისუფალი დემოკრატები) და ნელი კობიაშვილი („ქართული ოცნება“).

წინასაარჩევნო „ბოლი“ და მერობის კანდიდატთა „ბლეფი“ დაპირებები

მე-5 გვერდიდან

საარჩევნო კონტექსტიდან ამოვარდნილი ლეიბორისტები

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, 16 ივნისს, თბილისის ცენტრში გაშლილი სუფრა და ქეიფი გაურკვეველი ვადით გადაიდო... ლეიბორისტული პარტიის თბილისის მერობის კანდიდატის, მსახიობ ასმათ ტყაბლაძის დედაქალაქის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების ხედვის ნაწილი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, ახალი საწარმოების შექმნა და ხალხის დასაქმება იყო. ასმათ ტყაბლაძის მთავარი საბიუჯეტო პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკოლოგია და რეკრეაციული ზონების შენარჩუნება-გაზრდა და დასუფთავება გახლდათ. ტყაბლაძე ამბობდა, რომ უსახლკარო თბილისელებისთვის მუნიციპალური თავშესაფრები და სახლები აშენდებოდა, ქალაქს ნაგვის ურნები დაემატებოდა და უფრო ორგანიზებული გახდებოდა ქუჩების, ეზოებისა და პარკების დასუფთავება.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, ლეიბორისტული პარტია კონტექსტიდან ამოვარდა. სამწუხაროდ, მემარცხენე იდეოლოგიური შეძახილები და შალვა ნათელაშვილის რიხიანი ტონი ამ პარტიის წინასაარჩევნო დაპირებებს აშკარად მოაკლდა. როგორც ჩანს, ნაგვის ურნების დამატებისა და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის იდეამ ამომრჩეველზე არ იმუშავა, რაც საბოლოოდ, არც ისე სახარბიელო შედეგებზეც აისახა.

ზურაბ გარაყანიძე: „ყველა პარტიას თავისი სოციალური ბაზა უნდა ჰქონდეს. ლეიბორისტების სოციალური ბაზა კი მშრომელები არიან, რადგან ეს შრომის პარტიაა, რომელიც მშრომელთა ფართო მასების მოთხოვნებს უნდა ეყრდნობოდეს. ცოტა უცნაური იყო, რომ ლეიბორისტებმა ხეების დარგვასა და ურნების დადგმაზე დაიწყეს საუბარი. მთავარი აქცენტი შრომის კოდექსში არსებულ საფრთხეებზე უნდა გაეკეთებინათ და ვფიქრობ, გაცილებით უკეთეს შედეგსაც მიიღებდნენ“.

უფასო ბინები და ტანსაცმელი უსახლკაროებს!

საქართველოს პატრიოტთა ალიანსის დედაქალაქის მერობის კანდიდატის, ირმა ინაშვილის პრიორიტეტი მუნიციპალური ბინათმშენებლობის პროექტია, რომლის მიხედვითაც პირველადი შენატანისა და გირაოების გარეშე, დაინტერესებული პირები 20-წლიანი განვადებით მიიღებდნენ ბინებს. 200 უსახლკაროს კი ბინებს სრულიად უფასოდ გადასცემდა. ირმა ინაშვილის პროგრამის მიხედვით, დამწყები ბიზნესმენებისთვის 10 000-დან 15 000 ლარის სესხებსაც გამოყოფდნენ. თუმცა, მის დაპირებებში ყველაზე საინტერესო სასადილოების ქსელისა და ტანსაცმლის ატელიეების შექმნის იდეა იყო, რომელიც სოციალურად დაუცველებს სრულიად უფასოდ მოემსახურებოდა.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ეკონომიკური დაპირებები ზედმეტად კომუნისტურად ჟღერდა. უფასო ბინები, რასაც ინაშვილმა უსახლკაროების უფასო შემოსვაც დაუმატა, საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის ყრილობაზე წარმოთქმულ ხუთწლედის გეგმას უფრო ჰგავდა, რასაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან საერთო არაფერი აქვს. ერთადერთი, რეალური დაპირება, რაც ირმა ინაშვილის პროგრამის ეკონომიკურ ნაწილს ახლდა, დედაქალაქში მუნიციპალური საავადმყოფოსა და 25 პოლიკლინიკის შექმნის იდეა იყო. სოციალისტური დაპირებების მიუხედავად, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საკმაოდ მაღალი რეიტინგი მოიპოვა და საარჩევნო ბარიერიც გადალახა.

ზურაბ გარაყანიძე: „ამ პარტიას ასეთ მაღალ შედეგსა და რეიტინგს არავინ უწინასწარმეტყველებდა, რაც იმან განაპირობა, რომ ირმა ინაშვილს რადიკალურად განწყობილმა ელექტორატმა დაუჭირა მხარი. რაც შეეხება ბინების უფასოდ დარიგებას, ამაზე ძველი გამონათქვამი მახსენდება: „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“. ამ ტიპის სოციალური დაპირებების შესრულება ისეთ ქვეყნებსაც კი უჭირთ, როგორიცაა შვედეთი და ნორვეგია, რომლებიც სოციალურად ორიენტირებული, საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებია. ჩვენ ჯერ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ბინები უფასოდ დავარიგოთ და უფასო ატელიეები ავაშენოთ“.

P.S. თბილისის მერობის კანდიდატთა პროგრამების ეკონომიკურ ნაწილში გაცემულმა ირეალურმა დაპირებებმა საღად მოაზროვნე ამომრჩეველი ისე დააფიქრა, არჩევნებზე წასვლა გადაიფიქრა. დაბალი აქტივობის გამო, 8 თვითმმართველ ქალაქში არჩევნების მეორე ტური გველის. კარგი იქნება, თუკი მერობის კანდიდატები ამ შენიშვნებს გაითვალისწინებენ და ამომრჩეველს უფრო რეალურ მესიჯებს შესთავაზებენ. 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაფიქსირებული დაბალი აქტივობა კი ხალხში გაჩენილი ნიჰილიზმის შედეგია. შესაბამისად, ეს არჩევნები ხელისუფლებისთვის გაკვეთილად უნდა იქცეს, რათა მომავალში იგივე შეცდომები აღარ დაუშვას, ქამრები კარგად შემოიჭიროს და არაადეკვატურად მაღალ ხელფასებზე, პრემიებსა თუ ძვირადღირებულ ავტომობილებზე უარი თქვას!

ფეხბურთის „ჩემპიონატი“ ზონაზე

ციხის დირექტორთან დადებული „სანაძლეო“, გიორგი დემეტრაძის გაწვრთნილი გუნდი და ადმინისტრაციის გუნდის დამარცხების გამო დაწესებული ორკვირიანი მძიმე სასჯელი

პატიმარი №0578

რუსთავის №17 დაწესებულებაში მინიფეხბურთის არცთუ ურიგო სტადიონი იყო. მართალია, ბალახსა თუ ხელოვნურ საფარზე საუბარი სასაცილო გახლდათ, მაგრამ მოასფალტებულ და დახაზულ მინიმოედანზე პატიმრები დილიდან საღამომდე დასდევდნენ ბურთს. იყო საინტერესო მატჩები და უინტერესოც, მაგრამ ყველაზე მეტად პატიმრები შაბათ დღეს ელოდნენ. ამ დროს მათთან ფეხბურთის სათამაშოდ ადმინისტრაციის თანამშრომლები მოდიოდნენ. დაწესებულების დირექტორ ლაშა ბრეგვაძეს თავისი გუნდი ჰყავდა. მათ ბრაზილიის ნაკრების ფორმა ეცვათ და რაც მთავარია, ბრეგვაძეს თავისი ბურთი გამოჰქონდა სათამაშოდ — კარგი ბურთი, რომელიც პატიმრებს არ ჰქონდათ... პატიმარი №0578 ახალი მისული იყო ზონაზე და ფეხბურთის მატჩს ინტერესით უყურებდა. პატიმრებმა 0:3 წააგეს. მეორე კვირას ისევ წააგეს, მერე ისევ და მორიგი მარცხის შემდეგ გაბრაზებულმა №0578-მა გეზი მაყურებლების საკნისკენ აიღო.

— ასე გაგრძელება არ შეიძლება. ეს ბიჭები ცუდად არ თამაშობენ, მაგრამ თითქოს მოგება არ სურთ. ან არ ეთამაშონ და ან გულით ითამაშონ. მე შემიძლია გარედან მინიფეხბურთის გუნდის ტაქტიკა შემოვატანინო. დავსხდეთ, განვიხილოთ... არ არის სასიამოვნო ყოველდღე ლაშას მომღიმარი სახის ყურება, — ცხარობდა პატიმარი.

— ეჰ, შენ არ იცი, რა ხდება. რომ მოვიგოთ, გაბოროტებული ბრეგვაძე უფრო გაბოროტდება და წყალს გაგვითიშავს, ტელეფონებს გამორთავს და კაცმა არ იცის, რას მოიფიქრებს. სხვა გზა არ არის, უნდა წავაგოთ, — უთხრა ზონის მაყურებელმა...

მეორე შაბათს პატიმარი 0578 საფეხბურთო მატჩის წინ გვერდით ბრეგვაძის მოადგილეს დაუდგა და ცოტა ხნის შემდეგ ღიმილით უთხრა — ესენი სპექტაკლში მონაწილეობენ და ერთობიან, თქვენ არ მოგბეზრდათ იმ შეხვედრის ყურება, რომლის შედეგიც წინასწარ იცით?!

მოადგილე გაფითრდა, მერე თავხედ პატიმარს თვალებში ჩახედა და კბილებში გამოსცრა — რას ნიშნავს სპექტაკლი?!

— რას და, ძალით აგებენ ჩვენი ბიჭები, ბრეგვაძემ რომ არ შეგვავიწროვოს და ეს შენც იცი. მე წავედი, ამის ყურებას ტელევიზორში ცხოველთა სამყაროს ვუყურებ, იქ ოთხფეხა ცხოველები მაინც არიან, — გაიღიმა პატიმარმა და საკანში ავიდა.

რა თქმა უნდა, შეხვედრა ისევ ზედამხედველებმა მოიგეს და იმავე ღამეს, 12 საათზე 67-ე საკნის კარი გაიღო. 0578-ს ბრეგვაძე იბარებდა. ისიც ზედამხედველს მშვიდად გაჰყვა.

— არ ვიცი, რა დააშავე, მაგრამ ლაშა გაცოფებულია და შეეცადე, ისე მოიქცე, მეექვსეში არ გაგაქანოს, — უთხრა ოფიცერმა.

ბრეგვაძე საკუთარ კაბინეტში წამოწოლილიყო და როგორც კი პატიმარი შეუყვანეს, მაშინვე აყვირდა.

— შენ რა უთხარი ჩემს მოადგილეს? შენ რა გგონია, ჩვენ თამაში არ ვიცით და გვაგებინებთ? რატომ მივრცელებ ასეთ ხმებს?! გინდა, ვითამაშოთ და თუ მოიგებთ, რასაც მეტყვი, იმას შევასრულებ, — ღრიალებდა ბრეგვაძე.

— და თუ წავაგებთ? — მშვიდად იკითხა პატიმარმა.

— თუ წააგებთ, პირადად შენ იტყვი, რომ ლაშა ბრეგვაძე მაგარია. თუ მე წავაგებ, მთხოვე, რაც გინდა, — გაიღიმა ბრეგვაძემ.

— მე ვერ გადავწყვეტ, რა უნდა ზონას. ეს მაყურებლებმა პატიმრებთან ერთად გადაწყვიტონ, ამიტომ ხვალ საღამოს გეტყვი ჩვენს პირობებს, — უპასუხა პატიმარმა და ზედამხედველს საკანში გაჰყვა.

მეორე დილით 0578 მეორე საკანში, მაყურებლებთან იჯდა და ბრეგვაძის პირობებს აცნობდა. მაყურებლებმა თვალები მოჭუტეს, მერე ერთმანეთში იჩურჩულეს და გამოაცხადეს — თუ მოიგებთ, ბრეგვაძე ერთი კვირის განმავლობაში ზონაზე ჯინსის შარვლების შემოტანის უფლებას მოგვცემს, კაცმა არ იცის, რატომ არ გვანებებს ამას და მეორე — ორი კვირის განმავლობაში, ნებისმიერ ხილს შემოუშვებს. დაიხოცნენ პატიმრები მარტო ვაშლის ჭამით, — ასეთი იყო მაყურებელთა ვერდიქტი. ბრეგვაძე პირობებს დათანხმდა და პატიმრებმა მოსამზადებლად ერთი თვე ითხოვეს.

გუნდის წვრთნა თავზე 0578-მა აიღო. ოჯახის წევრებს მინიფეხბურთის გუნდის ტაქტიკა შემოატანინა, დილიდან საღამომდე ოფლს ღვრიდა და პატიმარ ფეხბურთელებსაც აღვრევინებდა. ერთი კვირის შემდეგ მასთან სხვა პატიმარი მივიდა და მშვიდად უთხრა — მე ვიცი, რომ შენ გარეთ ხალხს იცნობ და ბევრი რამ შეგიძლია. იქნებ მოახერხო და ჩვენს ზონაზე გიორგი დემეტრაძე გადმოაყვანინო. ახლა მეექვსეში ზის. დემე ნაკრებისთვის იყო ძალა და ჩვენთვის რა იქნება, ხომ ხვდები. მე რაც შემეხება, დიდი ფეხბურთი 7 წელი ვითამაშე, გორის „დილას“ მეკარე ვიყავი. კარში მე ჩავდგები და ნახე, თუ არ მოვიგებთ...

ერთი კვირის შემდეგ საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი დემეტრაძე რუსთავის 17 დაწესებულების ბინადარი გახდა. მას მალე აუხსნეს რა ხდებოდა და დემემაც ვარჯიში განაახლა. ერთი თვის შემდეგ გუნდი მზად იყო, კარში „დილას“ მეკარითა და თავდასხმაში გიორგი დემეტრაძით. მინი სტადიონს 2000-ზე მეტი პატიმარი და 40-მდე ზედამხედველი შემოერტყა გარს. ბრეგვაძის გუნდი ბრაზილიის ნაკრების ფორმაში გამოცხადდა. პატიმრების გუნდს კი საქართველოს ნაკრების მაისურები ემოსა. ყველა მაისურს ზურგზე პატიმრების მეტსახელი ეწერა, ყველაზე „მრისხანე“ კი, რაღა თქმა უნდა, მე-11 ნომრის მეტსახელი იყო — „დემე“! სწორედ მისი დამსახურება იყო ეს ფორმებიც და მათზე წარწერაც...

მატჩი დაძაბულად წარიმართა. სადავო მომენტები ბრეგვაძის სასარგებლოდ წყდებოდა, მაგრამ პატიმრები არ ნებდებოდნენ. ხუთჯერ აფეთქდა იქაურობა, ხუთჯერ იღრიალეს ბოლო ხმაზე პატიმრებმა, ხუთჯერ გამოიღო საკუთარი კარიდან ბურთი ბრეგვაძის გუნდის მეკარემ, ხუთჯერ თავისუფლებისა და სიამაყის ლანდმა გაიარა სტადიონზე და ამ ხუთიდან ოთხჯერ დემემ გაიტანა. შეხვედრა მშრალი ანგარიშით, 5:0 დასრულდა. საფინალო სასტვენის შემდეგ პატიმრებმა „კოკა-კოლით“ იწუნავეს და მცირე ფიესტა მოაწყვეს...

მეორე დღეს ზონა არ გაღებულა, წყალი შეწყდა და კარანტინი გამოცხადდა. ასე გაგრძელდა ორი კვირა. დასაბანს ვინ ჩივის, დასალევი წყალიც პრობლემა იყო. პატიმრებს კამერებიდან არ უშვებდნენ და დაწესებულებაზე საშინელი სუნი იდგა. ორი კვირის შემდეგ ზონა გაიხსნა. ყველა ელოდა, რომ მომხდარი 0578-ს დაბრალდებოდა და მაყურებლები მთელი პატიმრების ასეთ დღეში ჩაგდებას არავის აპატიებდნენ. მართლაც, 67-ე საკანში მაყურებლები გამოჩნდნენ და იმ პატიმრის ნარისკენ დაიძრნენ. ყველა ცუდის მოლოდინში გაირინდა.

— ბრეგვაძე ასეთი გამწარებული არავის ახსოვს. ყოჩაღ, რომ ეს მოახერხე, ვიცოდით, ეგ პირობას არ შეასრულებდა, ისიც ვიცოდით, დაგვსჯიდა, მაგრამ ახლა ხომ იცის, მთელი ამ ხნის განმავლობაში ის კი არ გვიგებდა, ჩვენ ვაგებდით. ორი კვირა კი არა, ერთი წელიც რომ ვყოფილიყავით ამ დღეში, შენ მაინც არავინ არაფერს გეტყოდა, — ღიმილით უთხრეს მაყურებლებმა პატიმარს, მხარზე ხელი დაჰკრეს და კამერიდან გავიდნენ.

რას ნიშნავს მარიხუანას „კომერციული ოდენობა“

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საქართველოს ექვს ქალაქში, მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით, აქციები გაიმართა. აქციების ორგანიზატორები მიიჩნევენ, რომ მარიხუანას მოხმარების გამო ადამიანის ციხეში ჩასმა დაუშვებელია და ამიტომ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას ითხოვენ. ამასთან, მოძრაობა „2 ივნისის“ წევრები მმართველ გუნდს მთავრობას იმ დაპირების შესრულებას სთხოვენ, რომელიც ნარკოპოლიტიკის გადახედვას გულისხმობს... საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, მარიხუანას მოხმარებისთვის არაადეკვატურად მკაცრი სასჯელი აღარ იქნება, შეიცვლება სააფთიაქო ნარკომანიისადმი „არაადეკვატურად ლიბერალური მიდგომაც“. მინისტრი აღნიშნავს, რომ მთავრობა უახლოეს მომავალში ნარკოსტრატეგიასთან დაკავშირებით ახალ დოკუმენტს წარმოადგენს.

იუსტიციის მინისტრის **თეა წულუკიანის** განცხადებით, კანონმდებლობაში ნარკოტიკულ ნივთიერებებთან მიმართებით „კომერციული ოდენობის“ ცნების შემოტანის საკითხი განიხილება და ამაზე ნარკოტიკული პოლიტიკის უწყებათაშორის საბჭოში მსჯელობენ: **„ისმის ბევრი სლოგანი თუ დევიზი, რომ მოხდეს მარიხუანასა თუ სხვა ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკის ლეგალიზაცია ანუ დაკანონება. ლეგალიზაცია ნიშნავს, რომ მარიხუანას მოხმარება დასჯადი არ იქნება, საქართველოში კი ეს არ იგეგმება, ვიდრე ქვეყანაში ეს მთავრობაა. სხვაა სიმკაცრის თემა — ნარკოტიკული პოლიტიკის უწყებათაშორის საბჭოში, სადაც შედის შსს, მთავარი პროკურატურა, ჯანდაცვის, სასჯელაღსრულების, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროები, ექსპერტები და საერთაშორისო ორგანიზაციები, ვმსჯელობთ ამ საკითხზე. გამოიკვეთა ტენდენცია, თანამედროვე საზოგადოებაში ასეთი მიდგომაა — მხოლოდ მომხმარებელს მკურნალობა სჭირდება და ციხეში არ უნდა ჩაჯდეს. როცა ახალგაზრდები ერთ ბინაში იკრიბებიან, ერთმანეთს მოხმარებისკენ აქეზებენ და ამ საცხოვრებელს სხვა ახალგაზრდებს უთმობენ, ეს კრიმინალია. ვსაუბრობთ, ხომ არ შეიძლება, ახალგაზრდები, რომლებსაც ერთხელ რაღაც შეეშალათ – მოიხმარეს ეს ნივთიერებები და რეალურად გაუბედურდნენ, მაგრამ არც შემომტანები არიან, არც გამტანები, არც მოშენებას აწარმოებენ, არც დილერები, მსუბუქად, მხოლოდ ადმინისტრაციული წესით დაისაჯონ, რათა ადამიანმა მკურნალობა შეძლოს. ამ ნივთიერებების შემომტანი და გამავრცელებელი კი უფრო მკაცრად უნდა დაისაჯოს, ვიდრე დღეს ისჯება. საბჭოში ვიმსჯელეთ, ხომ არ შემოგვეტანა ისეთი ცნება, როგორიცაა „კომერციული ოდენობა“. იგულისხმება, ნივთიერებათა ისეთი დიდი ოდენობა, რომელსაც პოლიცია რომ გიპოვის, ვერ იტყვი, ზამთრის მარაგიაო და ავტომატურად გადამყიდველად ჩაითვლები. მაგალითად, საუბარია 10 კილო კანაფზე – თუ ამდენი კანაფი მაქვს მანქანაში, ვერ ვიტყვი, რომ ეს მარაგია“.**

მინისტრის ცნობითვე, საბჭოს განხილვის საგანია ოდენობების, ნივთიერებათა სიის დაზუსტება და ნარკოტიკთან დაკავშირებული სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების რეფორმირება. თეა წულუკიანის თქმით, ამ მიმართულებით კონკრეტული გადაწყვეტილებები ჯერჯერობით მიღებული არ არის. მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ სფეროს რეფორმირებისას მნიშვნელოვანია, მომზადებული იყოს ჯანდაცვისა და განათლების სფეროები.

ნარკომანიით დაავადებულთა რეაბილიტაციის ცენტრის დირექტორი **გელა ლეჟავა** ამბობს, რომ მომხმარებლებისადმი მიდგომა სისხლის კი არა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში უნდა გამკაცრდეს — ადმინისტრაციული სახდელები, მაგალითად, ჯარიმა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა და თუ საჭიროა, ადმინისტრაციული პატიმრობაც. მისივე განმარტებით, მარიხუანაზე დამოკიდებულება, ჰეროინის შემდეგ, მეორე ადგილზეა და მხოლოდ წელს ნარკოდანაშაულზე გასამართლებული 524 ადამიანიდან 60 სასჯელს სწორედ მარიხუანას მოხმარების გამო იხდის:

„მარიხუანას მოხმარება უსიამოვნო შედეგების გამომწვევი უნდა გავხადოთ. მართალია, კრიმინალიზებული არ იქნება, მაგრამ მისი მოხმარება იმდენ უსიამოვნებას გამოიწვევს, რომ ნორმალური ადამიანი იტყვის, თავი დამანებეთ, არ მინდაო, ამიტომ დეკრიმინალიზაცია მის ლეგალიზებას არ უნდა ნიშნავდეს. ციხეში ჩასმა, ალბათ, ზედმეტი სასჯელია, რის ნაცვლადაც მთელი რიგი შემზღუდავი ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ მარიხუანას მოწევა ძალიან ცუდია და მართალია, სისხლის სამართლებრივად არა, მაგრამ ადმინისტრაციულად ისჯება. ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, პირი ციხეში არ წავიდეს, მაგრამ ამავე დროს, მწეველთა რიცხვი არ გაიზარდოს. ჯარიმებმა ოჯახი წელში არ უნდა გაწყვიტოს, მაგრამ ასევე, ცნობილია, რომ სასჯელის ზომა კი არ არის გადამწყვეტი, არამედ, — მისი გარდაუვალობა. მოკლედ, საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება — მუშაობა სკოლებში და ა.შ. ასევე, ყოვლად მიუღებელია მოსაზრება, თითქოს მარიხუანა მსუბუქია და მისი მოხმარება პრობლემა არაა“.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ვიდრე მათი პოლიტიკური გუნდი ხელისუფლებაში იქნება, მარიხუანას ლეგალიზაცია და დეკრიმინალიზაცია არ მოხდება, თუმცა მუხლების შემსუბუქებაზე საუბარი შეიძლება.

ქიზიყელი გლეხის მიმართვა ქიზიყელ პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

„ქართულ პოლიტიკაში სიმბოლოდ იქცა გირგვლიანი, როგორც ძალადობის მსხვერპლი. ძალადობა მრავალგვარია და სამწუხაროდ, ყველა ქალაქსა და სოფელს თავისი გირგვლიანი ჰყავს“, — ესაა ამონარიდი „ვერსიის“ ერთგული მკითხველის, სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო ბოდბეში მცხოვრები სოსო კოჭლამაზაშვილის წერილიდან. ქიზიყელი გლეხის წერილის ადრესატები, ასევე ქიზიყელები — პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე არიან. „ვერსია“ წერილს უცვლელად იმ იმედით აქვეყნებს, რომ სათანადო გამოხმაურება მოჰყვება:

„როცა ანტიდისკრიმინაციულ კანონზე საუბარი დაიწყო, იმედი მქონდა, ამ მიმართულებით რეალურ ნაბიჯებს გადადგამდით. სამწუხაროდ, მივიღეთ ტრაგიკომიკური სიტუაცია, სადაც არასაპარლამენტო ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებები კონსტიტუციით ისედაც დაცულია და დამატებით კანონებს აღარ საჭიროებს. ხელისუფლება კი, საპარლამენტო უმცირესობასთან ერთად, მიიჩნევს, რომ ამ კანონის მიღებით პრობლემა მოაგვარა. ერთი ჩვეულებრივი მოქალაქის თვალით დანახულ დისკრიმინაციის ფაქტებს მოგიყვანთ და თავად გააკეთეთ დასკვნა, როგორ იცავს კონსტიტუცია ადამიანებს და თუ არ იცავს, გათვალისწინებულია თუ არა არსებული მდგომარეობა ახალ კანონში.

რამდენი ქვეყანა იცით, სადაც მასობრივად აიძულებენ მოსახლეობას, ფული გადაიხადოს პროდუქციაში, რომელიც არ უყიდია და არ მოუხმარია? მეზობელი მყავს, რომელიც 7 წელია სოფელში არ ჩამოსულა. ამ დროს, „კახეთის ენერგოდისტრიბუციამ“ ორ წელში 610 ლარის დავალიანება დააკისრა და დენიც ჩაუჭრა. ამ ადამიანმა ახლახან გაიგო, რომ ელექტროენერგიის აღსადგენად რამდენიმე ასეული ლარის გადახდა მოუწევს, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ პერიოდში 1 კილოვატიც არ მოუხმარია. თუნდაც ეს შემთხვევა კარგად აჩვენებს აბსურდსა და ძალადობას, რაც ამ სფეროშია. როგორც ვიცი, მარტო სიღნაღის რაიონში, 4,5 მლნ ლარი „შეაწერეს“ მოსახლეობას (განაწილებული ნაშთის სახით ანუ მოსახლეობა მრიცხველის დაწერილი დენის საფასურის გარდა, დამატებით იხდიდა ამ ე.წ. განაწილებულ ნაშთს). მართალია, ამ თანხების დარიცხვა 2012 წლის იანვრამდე მოხდა, მაგრამ მათი ამოღება დღესაც გრძელდება და ეს უმეტესად, ძალადობით და უკანონოდ ხორციელდება. იმის მიუხედავად, რომ სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, უფლება არ აქვთ, ძველი დავალიანების გამო შეჭრან დენის მოწოდება, გადახდას სწორედ ამ მეთოდით აიძულებენ. მე პირადად, სხვადასხვა გზით ვცადე პრობლემის მოგვარება, ახლა უკვე სასამართლოს გზას დავადექი. მსურს, სასამართლომ დაადასტუროს, რომ კომპანია, სახელმწიფოსთან ერთად, ცდილობს ფული „შემაწეროს“.

მსგავსი ძალადობა უცხო არც წყლის კომპანიისთვისაა: ჩვენს სოფელში (ზემო ბოდბე) წყლის მრიცხველები დაგვიყენეს 100 ლარად, რომელიც მაღაზიაში 28-32 ლარი ღირდა. აღმოჩნდა, რომ ეს მრიცხველები მუდმივი წყლის პირობებში უნდა გამოიყენო. ასევე, გაირკვა, რომ სანამ წყალი წამოვა, მას ჰაერი ატრიალებს და შეიძლება, 100-150 ლიტრიც კი დაწეროს. რა თქმა უნდა, ამას უკმაყოფილება მოჰყვა და ზოგმა მრიცხველის საფასურის გადახდა შეწყვიტა, რის გამოც წყლის შეჭრით ემუქრებიან. სხვათა შორის, ბევრ უბანში მოსახლეობას საკუთარი ხარჯით აქვს გაყვანილი წყალი. მგონი, გასაგები სიტუაციაა — ერთი მხრივ, დენის მრიცხველის გამართულობის მიუხედავად, გაიძულებენ ასობით ლარის გადახდას, მეორე მხრივ, უვარგის მრიცხველს სამმაგ ფასად გაყიდვინებენ.

ასეთივე ქაოსია გაზთან დაკავშირებითაც — „სოკარი“ ორმაგ ფასში აყენებს მრიცხველებს (2011 წელთან შედარებით), თან მხოლოდ ფოლადის მილებით შეყავთ გაზი, რაც გაცილებით ძვირი ჯდება.

ახლა კი, უფრო მძიმე ფაქტებს გეტყვით: 2014 წლის 1 იანვარს, სოფელში მიცვალებული მოასვენეს, 42 წლის კაცი, 4 შვილის მამა, ახალ წელს სამსახურში გარდაიცვალა — ერთ ობიექტს იცავდა, სადაც, ფაქტობრივად, ღია ცის ქვეშ უწევდა ყოფნა. სიცივემ და მძიმე პირობებმა ჯანმრთელობა შეურყია, მკურნალობის დაწყება ვერ გაბედა, იცოდა, თუ სამსახურს გააცდენდა, გამოაგდებდნენ; არადა, 1 წელი აკლდა საპენსიო სტაჟამდე და გადაწყვიტა, მოეთმინა. სახლში დაბრუნებული საათობით იჯდა ღუმელთან და სიცივისგან კანკალებდა, მაგრამ ოთხი შვილის მამა იყო და ყველაფერს იტანდა, იტანდა სიცოცხლის ბოლო წუთამდე, სანამ შეეძლო. ქართულ პოლიტიკაში სიმბოლოდ იქცა გირგვლიანი, როგორც ძალადობის მსხვერპლი. ძალადობა მრავალგვარია და სამწუხაროდ, ყველა ქალაქსა და სოფელს თავისი გირგვლიანი ჰყავს. დღეს, ჩემს სოფელში 20 წლის ბიჭის სიცოცხლე სასწორზე დევს — მკურნალობისთვის 15 ათას ევრომდე სჭირდება, ოჯახს კი საშუალება არ აქვს — რამდენი ხანია, უშედეგოდ ცდილობს მკურნალობისთვის საჭირო სახსრების მოძიებას.

სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ერთ წერილში ვერ ჩავტევ. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ კარგად მესმის, დემოკრატია თავისუფლების პრინციპია, რომლის თანამედროვე გაგებაც ადამიანის თავისუფალ არჩევანს გულისხმობს რელიგიური, სექსუალური თუ სხვა მიმართულებით, მაგრამ ისიც კარგად ვიცი და თქვენც შეგახსენებთ, რომ დემოკრატია, პირველ რიგში, კანონიერების პრინციპია, რომელიც ადამიანის ბუნებით უფლებებს ეფუძნება და რომელიც 18 საუკუნის ბოლოდან გახდა ის ფუნდამენტი, რაზეც თანამედროვე დასავლური დემოკრატია დგას. სანამ ეს უფლებები შელახულია, ყოველგვარი საუბარი დემოკრატიაზე და თავისუფლებაზე, მხოლოდ თავის მოტყუება იქნება. მნიშვნელობა არ აქვს, რა ფორმით და რა სახელის კანონით დარეგულირდება, მთავარია, შინაარსით რეალურად ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა გაატაროთ. დღეს ეს საკმაოდ ღრმა და რთული პრობლემა სექსუალური უმცირესობის საკითხად იქცა, რეალობა კი გაცილებით მძიმეა და თქვენგან კონკრეტულ ნაბიჯებს ითხოვს“.

ევროკავშირის ხელშეწყობით, აჭარის მაღალმთიანეთში კაკალი და მოცვი მოჰყავთ

1 კგ გაყინული ღურჯი მოცვის ფასი 30 ლარია

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და განვითარების სამეზობლო პროგრამის — ENPARD-ის ფარგლებში, 28-30 მაისს აჭარაში პრესტური გაიმართა. სხვადასხვა მედიასაშუალების წარმომადგენლებს აჭარის მაღალმთიან რაიონში, შუახევში განთავსებული ფერმერული მეურნეობები, კოოპერატივები, ასევე შუახევის, ქობულეთისა და ჩაქვის აგროსერვისცენტრები აჩვენეს. ENPARD-ის ფარგლებში, გაერო-ს განვითარების პროგრამა UNDP ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას აჭარაში. ENPARD-აჭარას სრული ბიუჯეტი 4 325 000 აშშ დოლარია. აქედან თითქმის 4 000 000 აშშ დოლარი ევროკავშირის დაფინანსება, ხოლო 325 000 აშშ დოლარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილია.

ENPARD-აჭარას მთავარი მიზანი აჭარაში სოფლის მეურნეობის ეფექტურობის ზრდა; აჭარელი ფერმერების საკონსულტაციო-საინფორმაციო მომსახურების განვითარება; ბიზნესზე ორიენტირებული ფერმერთა მცირე ჯგუფების მხარდაჭერა; კოოპერატიული ასოციაციებისა და სარგებელზე დაფუძნებული სხვა ტიპის თანამშრომლობის ხელშეწყობა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინსტიტუციური გაძლიერებაა.

გაერო-ს განვითარების პროგრამა UNDP-ის ხელმძღვანელის, **ლაშა კომახიძის** განმარტებით, აჭარის მაღალმთიანი რაიონები — ხულო, შუახევი და ქედა, ENPARD-ის განსაკუთრებული სფეროა. პროექტის ფარგლებში, ძირითადად, მცირემიწიან ფერმერებზე ამახვილებენ ყურადღებას: **„ყველაზე დიდი გამოწვევა, რაც ჩვენს წინაშე დგას, ასეთ პატარა მიწებზე ეფექტური სოფლის მეურნეობის აწყობაა. ამის ერთ-ერთი საშუალება ის არის, რომ სოფლის მეურნეობის ტრადიციული კულტურები, რასაც აჭარლები შეეჩვივნენ და მოჰყავთ, გაცილებით მაღალი რენტაბელობის პროდუქტებით ჩავანაცვლოთ. ამ შემთხვევაში, შუახევის რაიონის, სოფელ ბუთურაულში, ლურჯი მოცვის სადემონსტრაციო ნაკვეთზე ვიმყოფებით. ამ პროექტის გაგრძელებას უკვე ქობულეთში გაჩვენებთ, სადაც შესაძლებელია, ამ ნაკვეთზე მოყვანილი მოცვის გაშრობა ან მინუს 35 გრადუსზე გაყინვა. ადრე მოცვს ველურად, ტყეში კრეფდნენ, ნედლი მოცვის ღირებულება ბაზარზე 2 ლარს არ აღემატება, მისი შენახვის ვადა კი მხოლოდ ორი-სამი დღეა, ამის შემდეგ პროდუქტი ფუჭდება. დროის ამ მოკლე მონაკვეთში, ფერმერი ზარალდებოდა, რადგან მხოლოდ იმ რაოდენობის მოცვს ყიდდა, რასაც ორ-სამ დღეში მოასწრებდა. ნებისმიერ სუპერმარკეტში შებრძანდით და გაყინული მოცვი მოითხოვეთ, ნახავთ, რომ 500 გრამი გაყინული მოცვის პაკეტი 15 ლარი დაგიჯდებათ, ანუ 1 კგ გაყინული პროდუქტის ფასი 30 ლარია. რა თქმა უნდა, გაყინვა და პაკეტებში განთავსება ხარჯებს უკავშირდება, მაგრამ ფერმერს ეს 1 კგ-ზე 5-6 ლარი დაუჯდება. ეს იმას ნიშნავს, რომ 2 ლარის ნაცვლად, ფერმერს 1 კგ. მოცვიდან, თუკი მას სპეციალური ტექნოლოგიით გაყინავს, 20-25 ლარი დარჩება“.**

პროექტის ფარგლებში, ერთი სადემონსტრაციო ნაკვეთის ღირებულება 6 000 ლარამდე დაჯდა. ამ ფასში შედის, როგორც მიწის მომზადება და დამუშავება, ასევე წვეთოვანი სარწყავი სისტემის დამონტაჟებაც. ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონებში, ჯამში, 16 000 კვადრატულ მეტრზე, კაკლის სამი და მოცვის სამი სადემონსტრაციო ნაკვეთია გაშენებული. 1 ძირი მოცვი, 4-დან 7 კგ-მდე მოსავალს იძლევა. სოფელ ბუთურაულის სადემონსტრაციო ნაკვეთზე გაშენებული მოცვის პლანტაციიდან, პირველ მოსავალს 4 წლის შემდეგ მიიღებენ.

ENPARD-ისა და UNDP-ის ფარგლებში, აჭარელ ფერმერებს განსაკუთრებულ ყურადღებას რაიონებში განთავსებულ აგროსერვისცენტრებში უწევენ. ამ ცენტრებში ფერმერებს კონსულტაციებს გამოცდილი აგრონომები უწევენ და თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით, მიწის დამუშავებასა თუ პროდუქტის მოყვანაში ეხმარებიან. მეტიც, ფერმერებს ნერგებით ამარაგებენ, მოსავლის მოყვანაში ეხმარებიან და ბოლოს, პროდუქტის რეალიზაციაშიც ხელს უწყობენ. ლაშა კომახიძე: **„განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტრენინგებსა და კონსულტაციებს, რასაც ფერმერები აგროსერვისცენტრის თანამშრომლებისგან იღებენ. ნერგებითაც ჩვენ ვამარაგებთ და მთელი პროცესი, აგროსერვის ცენტრის კონსულტანტების ზედამხედველობის ქვეშ მიმდინარეობს, მათ შორის, აგრარული ღონისძიებები და მოსავლის რეალიზაცია. ჩვენი ძირითადი სფეროებია მეთაფლეობა, მეკალმახეობა, მეთხილეობა, სათბურები, მებოსტნეობა, მეხილეობა, ანუ სოფლის მეურნეობის ყველა ის დარგი, რაც აჭარაში, ტრადიციულად, განვითარებულია“.**

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲗᲐᲛᲐᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9		7						1
			3		1		9	
	3			8		7		
		6			7	9		2
	7						5	
5		4	2			8		
		2		1			8	
	4		8		5			
1						2		3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	5		8					3
		3	6	9				7
	9							
		5		2	9	7		4
		1				5		
9		6	5	4		2		
							7	
3				7	4	1		
2					1		8	

ᲠᲗᲣᲚᲘ

	5			1	6	9		
8	3				4			
6		7					4	
		8				4	5	
5								9
	7	1				3		
	4					8		5
			4				9	2
		3	8	2			7	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

7					9		8	3
4		1	2		8			
		8	6					
					3		9	1
9								2
3	4		7					
					6	1		
			1		7	5		9
1	5		9					6

კინოს ბილეთი 300 დოლარად

ტოკიოს კინოცენტრი „სინძუკი პიკადილი“ მაყურებელს „პლატინის“ ადგილებს სთავაზობს, რომელთა ღირებულება 30 ათასი იენია (თითქმის 300 დოლარი). ფილმის დემონსტრირებისას ხელგაშლილი მაყურებელი ცალკე კაბინაში, მდიდრულ დივანზე მოიკალათებს, რომელიც იტალიური ტყავისგანაა დამზადებული და სტერეოხმითაც დატკბება. მაყურებელმა თავი ვიპ-პერსონად რომ იგრძნოს, კინოთეატრში ცალკე შესასვლელი, ცალკე ლიფტი და სპეციალური ვესტიბულიცაა გათვალისწინებული, სადაც ფილმის დაწყებამდე დროს სასურველ კამპანიაში გაატარებს. თუ კინომანს საშუალება აქვს, ერთბაშად 30 მილიონი იენი გადაიხადოს, ვიპ-კაბინას მთელი წლით დაუჯავშნიან.

15 წელი დახეული წერილების აღდგენას მიუძღვნა

ერთმა დაქვრივებულმა ბრიტანელმა 15 წელი მიუძღვნა ნაკუწებადქცეული რომანტიკული წერილების აღდგენას, რომელიც მეუღლემ ნახევარი საუკუნის წინ დახია. კემბრიჯშირში მცხოვრებმა 82 წლის ტედ ჰოვარდმა, რომელიც ევროპის ქვეყნებში ხშირად მოგზაურობდა, მეუღლეს, მოლის 98 წერილი მიწერა, მაგრამ, როცა ცოლი მიხვდა, ამ სასიყვარულო ბარათებს ჩუმ-ჩუმად ვიღაც კითხულობდა, ჯერ კიდევ 1953 წელს ისინი ნაკუწებად აქცია და ბალიშში ჩაყარა. ყოველი წერილი თითქმის 20 ნაწილად იყო დახეული და ირლანდიიდან, საფრანგეთიდან, ჰოლანდიიდან თუ სხვა ქვეყნებიდან მიღებული სიყვარულის ახსნა 2000 ფრაგმენტად იქცა. მოგვიანებით, ჰოვარდმა საკუთარი ნაწერის აღდგენა გადაწყვიტა, რაზეც 15 წელი დასჭირდა. მეუღლე სამი წლის წინ გარდაეცვალა... ძალიან მენატრება ჩემი მოლი, აღდგენილი ბარათები კი ამ ტკივილის დაძლევაში მეხმარება, — აცხადებს მოხუცი ქვრივი, რომელიც წერილების მიხედვით წიგნის დაწერას აპირებს.

საკუთარ მანქანაში მოწევისთვის დააჯარიმეს

უელსელმა დეკორატორმა, გორდონ უილიამსმა კინაღამ მეტყველების უნარი დაკარგა, როცა საკუთარ მანქანაში სიგარეტის მოწევისთვის 30 გირვანქა სტერლინგით (60 დოლარი) დააჯარიმეს. ინციდენტი ორიოდე კვირის წინ მოხდა, როცა საყიდლებზე წავიდა და გზად უსაფრთხოების სამსახურის ადგილობრივმა წარმომადგენლებმა გააჩერეს. მათ მითხრეს, ჩემი მიკროავტობუსი — ჩემი სამუშაო ადგილია და ამიტომ მოწევის შესახებ კანონს ვარღვევ, — ჰყვება ჯერ კიდევ გაოგნებული უილიამსი. საქმე ისაა, რომ ინგლისსა და უელსში მოქმედი კანონით, მოწევა იკრძალება ნებისმიერ დახურულ ადგილას, სადაც ადამიანები მუშაობენ. ეს ფურგონი ჩემი საკუთრებაა, ამით დავდივარ სამსახურში და აქ არ ვმუშაობ, — აცხადებს დეკორატორი.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

3	8	7	6	5	2	1	9	4
2	1	9	8	7	4	6	5	3
4	6	5	1	3	9	2	8	7
1	7	3	4	9	8	5	2	6
9	5	6	3	2	1	4	7	8
8	4	2	7	6	5	3	1	9
7	3	1	5	8	6	9	4	2
6	2	4	9	1	7	8	3	5
5	9	8	2	4	3	7	6	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5	1	4	3	9	2	7	8	6
3	6	9	8	7	5	4	1	2
2	8	7	1	6	4	5	3	9
1	3	6	9	5	8	2	7	4
9	2	8	7	4	3	1	6	5
7	4	5	6	2	1	3	9	8
8	5	3	4	1	9	6	2	7
6	9	2	5	3	7	8	4	1
4	7	1	2	8	6	9	5	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	2	7	9	4	8	3	6	5
9	5	8	3	2	6	4	1	7
6	4	3	7	1	5	8	2	9
8	1	6	5	7	4	9	3	2
7	3	5	6	9	2	1	4	8
2	9	4	8	3	1	7	5	6
3	8	2	4	6	9	5	7	1
5	7	1	2	8	3	6	9	4
4	6	9	1	5	7	2	8	3

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	7	5	4	3	9	8	2	1
1	2	4	7	5	8	6	9	3
3	8	9	2	1	6	5	7	4
9	1	3	8	2	7	4	6	5
5	6	7	9	4	3	1	8	2
2	4	8	1	6	5	7	3	9
8	5	2	6	9	4	3	1	7
7	3	1	5	8	2	9	4	6
4	9	6	3	7	1	2	5	8

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

9	3	7	1	6	5	4	2	8
4	8	1	2	7	3	9	6	5
6	5	2	4	9	8	7	3	1
2	6	5	3	1	4	8	9	7
3	4	9	7	8	2	5	1	6
1	7	8	9	5	6	2	4	3
8	2	6	5	4	1	3	7	9
7	1	4	8	3	9	6	5	2
5	9	3	6	2	7	1	8	4

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

6	4	3	5	1	2	9	8	7
7	9	8	6	4	3	5	2	1
1	5	2	7	9	8	6	4	3
8	3	5	4	2	1	7	9	6
9	6	1	8	5	7	4	3	2
4	2	7	3	6	9	8	1	5
5	1	4	9	3	6	2	7	8
2	8	9	1	7	5	3	6	4
3	7	6	2	8	4	1	5	9

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	3	6	8	5	2	1	7	9
1	2	9	6	7	4	5	3	8
8	7	5	1	3	9	4	6	2
6	9	2	7	4	1	8	5	3
7	5	8	9	6	3	2	4	1
3	4	1	5	2	8	6	9	7
5	1	7	2	9	6	3	8	4
2	6	4	3	8	7	9	1	5
9	8	3	4	1	5	7	2	6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	3	5	9	2	1	8	7	6
8	6	2	4	7	5	3	1	9
1	9	7	6	8	3	5	4	2
3	8	4	7	5	9	6	2	1
2	1	9	3	6	4	7	8	5
7	5	6	2	1	8	9	3	4
9	2	3	5	4	7	1	6	8
6	7	1	8	9	2	4	5	3
5	4	8	1	3	6	2	9	7

მე-10 გვერდი: 1. სენტიმენტალიზმი; 2. ვიზავი; 3. მზეჭაბუკი; 4. ავგური; 5. ჰემოგლობინი; 6. ქოფაკი; 7. მტვრიანა; 8. ტუ; 9. ლოსი; 10. ოსბორნი; 11. ზვინი; 12. მექა; 13. ლაიოსი; 14. ჭკუა; 15. ური; 16. უატი; 17. ლეთე; 18. მლივი; 19. ბიბლია; 20. მაატი; 21. სუარე; 22. რუბლი; 23. ლილვი; 24. საირმე; 25. ზიდანი; 26. ევბეა; 27. ზუა; 28. სიმბა; 29. „ოდისეა“; 30. იუველირი; 31. ეტნა; 32. იზაი; 33. ბენდი; 34. ანკარა; 35. ინვარი; 36. მნე; 37. ტიარა; 38. ლავანდა; 39. ამია; 40. კოდაი; 41. აირი; 42. იკაო; 43. ბედი; 44. დაბა; 45. ულუ; 46. აკაკი; 47. ერა; 48. ბანზაი; 49. მუფთი; 50. ემი; 51. ბულა; 52. სინუსი; 53. კარეუ; 54. უმი; 55. ოსაკა; 56. რობოტი; 57. გია; 58. ლუი; 59. უფოლოგია; 60. ნური; 61. იაგო; 62. ელიბო; 63. ლილო; 64. ლილუ; 65. „ტიიდა“; 66. არიცია.

მე-12 გვერდი: 1. პლაგიატი; 2. ბორხესი; 3. პლანქტონი; 4. აპოლონი; 5. იგავი; 6. „ოლიმპიაკოსი“; 7. ხერხეულიძე; 8. საბზა; 9. პაგოდა; 10. როდარი; 11. მენეჯერი; 12. პიეტა; 13. ტრალი; 14. აბორტი; 15. ქრომი; 16. ბია; 17. ენოტი; 18. ატლასი; 19. რუ; 20. სუ; 21. ოდინი; 22. ანი; 23. იფანი; 24. რიუნოსკე; 25. აბი; 26. კორძი; 27. ასა; 28. აული; 29. სირაჯი; 30. ფეხი; 31. „გალათასარაი“; 32. ბრაზუკა; 33. მუსიე; 34. ჟირანდოლი; 35. „ჰსჟ“; 36. ასი; 37. წკირი; 38. ანგარი; 39. ნიუ; 40. აკმე; 41. ზოლა; 42. ნაია; 43. პიასტრი; 44. ოკარინა; 45. ამფიტრიტე; 46. ასინეთა; 47. შაორი; 48. დუელი; 49. ანუკ; 50. ასმათი; 51. რკო; 52. შხარა; 53. ცეკვა; 54. ხარიხა; 55. პართია; 56. სრა; 57. ნეკი; 58. მის; 59. აარონი; 60. დოლი; 61. ტროა; 62. არვე; 63. რასპე; 64. ორმო; 65. ელიტა; 66. „სარანგი“; 67. ტიალი; 68. აირი; 69. „დოჯი“; 70. იდა; 71. არფა; 72. ტორპედო; 73. პრაიდი; 74. ალან; 75. ვაი; 76. ფილე; 77. რუჯი; 78. „ია“; 79. ეთიკა; 80. ბრაილი; 81. ჯოჯიკი; 82. დიპლოპია; 83. რა; 84. „ავატარი“; 85. სე; 86. კოლიმა; 87. დურუჯი; 88. „ნინია“.

1. იტაკის მოსაპირკეთებელი ფილა
2. ავადმყოფური აღტაცება
3. „ტოიოტას“ ერთ-ერთი ავტომარკა
4. სამხედრო „ფერი“
5. ქრისტეს ჯვარცმის ადგილი
6. აღმოსავლეთმცოდნეობა
7. ვარაუდი, ეჭვი
8. პურის საცხობი ღუმელი
9. ადამიანის სულიერ ძალთა ერთობლიობა
10. ქვესკნელის ანტონიმი
11. მარადმწვანე წიწვოვანი ხე
12. ჩირქგროვა
13. ირანის შაჰის მრძანებულება
14. აზერბაიჯანის პრეზიდენტი
15. ზომიერად ნელი ტემპი მუსიკაში
16. ვაზის სარი
17. ალოეს ქართული სახელწოდ.
18. იავნანა (ფრანგ.)
19. გაიროს ექსმეფე კოფი ...
20. ტყუპად წისლის კვრა
21. საქონლის წვნიანი საკვები
22. მთიანი მხარე რუსეთში
23. ვიქტორ ცოის ჯგუფი
24. სატელეფონო „სიტყვა“
25. საგანგებო დავალება
26. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი
27. აუქციონზე გასაყიდი ნივთი
28. „ჰიუნდაის“ მოდელი
29. იაპონ. ელექტროტექნიკური ფირმა
30. „ნატვრის ხის“ ავტორი
31. ფიგურულელი სახაზავი
32. არანამდვილი, ყალბი
33. ქართული დასახლება ბამზე
34. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი
35. მსახიობი ... გიბსონი
36. X ღერძი კოორდინატთა სისტემაში
37. ბრტყელი ჩალის ქუდი
38. ზეთისხილისფერი მინერალი
39. სამეურნეო მუშაკი
40. ლათინურ ანბანის ასო
41. ტიბეტელთა ლიდერი ...-ლამა
42. ძველი ქართული ანბანის ასო
43. იაპონელთა ტრადიც. რელიგია
44. ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშალი
45. ქალაქი ფლორიდის შტატში ატლანტის ოკეანის სანაპიროზე
46. სასკოლო საგანი
47. ავტომაური ელექტროხელსაწყო
48. დაქირავებული მკვლელი ჯარისკაცი იაპონიაში
49. „შვროლეს“ მოდელი
50. ქართ. ანბანის ბოლო ასო
51. ლიხტენშტეინის დედაქალაქი
52. პიანისტი ... ვირსალაძე
53. ქართული სარეცხი ფხვნილი
54. თავის ქალის უკანა ნაწილი
55. დედამიწის „სასურავი“
56. ფულადი თანხა, რომელსაც ერთი მხარე აძლევს მეორეს ხელშეკ. დასადასტურებლად
57. არაბული ფლეიტა
58. დარდი, წუხილი
59. მხარზე გადასაკიდი ჩანთა
60. კუნძული კარიბის ზღვაში
61. გაზაფხულის ყვავილი

ეაძვლელებზე ღიმილს ყიდის

ფულის შოვნის უჩვეულო მეთოდი მოიფიქრა ჩინეთის ქალაქ ჩუნცინის მცხოვრებმა ჩენ იუმ — იგი ქუჩაში გადის და გამვლელებზე საკუთარ ღიმილს ყიდის. ასეთი მარტივი საქმით 30 წლის ჩინელი სულ რამდენიმე დღეა დაკავდა, მაგრამ უკვე მოასწრო და დააინტერესა იქაური პუბლიკა. ჩენ იუმ საკუთარ თავს „მსოფლიოში სიცილის საუკეთესო გამყიდველი“ უწოდა და ხალხს მის მიერ გამოცემული მხიარული ხმების მოსასმენად, სიმბოლური თანხის გადახდის სანაცვლოდ ეპატიჟებოდა. ჩენის „ასორტიმენტი“ საკმაოდ მრავალფეროვანია. შეკრებილ ადამიანებს არა მარტო სიცილით, არამედ სახის 12-გვარი გამომეტყველებითაც ართობს. ერთი იუანის საფასურად მსურველს შეუძლია, ვთქვათ, მეგობრული გაღიმება ან სულელური სიცილი „შეუკვეთოს“, 10 იუანად კი, ქუჩის მასხარა მზადაა, მსურველს 12-ვე მიმიკა აჩვენოს. ბევრი უნდა ვიცინოთ, რადგან ეს ჩვენი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, — მოძღვრავს შეკრებილ ხალხს „მომღიმარი ჩინელი“.

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

სამუშაო დღე — საცვლებში

ერთ-ერთი ტაივანური კომპანიის ხელმძღვანელობამ, რომელიც ქალის თეთრეულით ვაჭრობს, საკუთარ თანამშრომელ ქალებს უცნაური თხოვნით მიმართა. ბოსებმა მოინდომეს, ოფისის ყველა თანამშრომელი ქალი სამსახურში საცვლებით გამოცხადებულიყო და მთელი დღე ტრუსებსა და ბიუსტჰალტერებში გამოწყობილებს ემუშავათ. უფროსობის გასაოცრად, 500-დან თითქმის ყველა მანდილოსანი დათანხმდა ამ წინადადებას. კომპანია Audrey Underwear-მ ამ ორიგინალური მეთოდით გადაწყვიტა, აღენიშნა რეკორდული გაყიდვები და საცვლების დღედ გამოაცხადა. ზოგიერთმა თანამშრომელმა ქალმა ისიც კი აღიარა, რომ ამ დღისთვის განსაკუთრებით ემზადებოდა და მკაცრ დიეტაზე იყო.

საყიდლებზე ტანკით დადიან

გერმანიის ქალაქ ნოიაინშპახში მცხოვრები შონაიხების ოჯახი მაღაზიებში საყიდლებზე ტანკით დადის. ბრიტანული წარმოების მსუბუქი საბრძოლო მანქანა 30-მილიმეტრიანი ზარბაზნითაა აღჭურვილი და 8-მილიმეტრიანი დამცავი მეტალითაა დაფარული. როგორც ოჯახის უფროსი იოაჰიმ შონაიხი აცხადებს, ტანკით მაღაზიებში და სასეირნოდ დადიან, სალონში კი სპეციალურად 2 წლის პაულისთვის საბავშვო სავარძელია დამონტაჟებული. გერმანელების თქმით, ძალიან კმაყოფილები არიან საკუთარი ტრანსპორტით, თუმცა ის საკმაოდ მოუხერხებელია. ამ ოჯახური ტრანსპორტის კიდევ ერთი სერიოზული ნაკლი ისაა, რომ ბევრი საწვავი სჭირდება — 50 ლიტრი 100 კილომეტრზე.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

2			4			5	3	
		6					2	1
		4		2	1			
	3		1					7
	9	8				2	4	
7					2		9	
			5	3		6		
6	2					3		
	1	3			4			9

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	4					2		
	9		8	6				5
1				9	2			
				1	6	9		
2								3
		8	2	7				
			7	5				4
8				2	1		6	
		1					5	

ᲠᲗᲣᲚᲘ

	9	8		3	2			
		3	6				9	
	2				7			3
		5			9	6	8	
				7				
	6	7	3			1		
7			1				2	
	5				3	8		
			7	2		9	6	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

				3		9	8	1
3			9				7	
		6			1			
			8			2		
7				2				6
		5			9			
			2			1		
	8				7			9
9	4	2		8				

ორგანოს ზომა ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდება

აშშ-ს ატლანტის კვლევითი უნივერსიტეტის Emory მეცნიერებმა ახალი ნაშრომი წარმოადგინეს. ამერიკელი სწავლულების თქმით, ნებისმიერი ორგანოს ზომა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაზღვრავს. მაგალითად, გრძელი ენა — იმაზე მიუთითებს, რომ ეს ადამიანი მიდრეკილია უძილობისკენ და ხშირად სუნთქვის უკმარისობითაც იტანჯება. მასტან, დიდი ენის პატრონები ყოველთვის ხვრინავენ. თუ დიდი ზომის ენა ან ნუშისებრი ჯირკვლები გაქვთ, ეს სერიოზული პრობლემაა. ის იჭედება პირის ღრუს უკანა მონაკვეთში და ძილის დროს ბლოკავს საჰაერო გზას. შედეგად მოდუნებული, მძინარე ადამიანი ხვრინვას იწყებს, — აცხადებენ მკვლევარები. სწავლულების თქმით, დიდთეძოებიან ქალებს ტვინის ფუნქცია დარღვეული აქვთ. ეს განსაკუთრებით მძაფრდება მენოპაუზის დროს. ჩიკაგოელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი 65-დან 79 წლამდე ასაკის 9 ათასამდე ქალზე ჩაატარეს. მეხსიერების ტესტისას მათ, ვინც ჭარბწონიანი იყო, ძალიან დაბალი ქულები დააგროვეს. თეორიის თანახმად, ზედმეტი წონა ტვინში სისხლის მიწოდებას უშლის ხელს, ვიწრო თეძო კი, როგორც აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გარეგნულად არის ლამაზი — სწავლულთა თქმით, ის გულის დაავადებების და ნაადრევი სიკვდილის მიზეზია. დანიელი მეცნიერები თვლიან, რომ ამ ყველაფრის მიზეზი სხეულის ამ არეში კუნთის სუსტი მასაა, რომელიც ინსულინის მგრძნობელობაზე ახდენს გავლენას.

აღმოჩნდა, რომ თითის სიგრძე მამაკაცებში პროსტატის არსებობის ნიშანია. ბრიტანეთის კიბოს კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა პროსტატით დაავადებული 1500 მამაკაცის ხელი 3 ათასი ჯანმრთელი მამაკაცის ხელის აგებულებას შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ მათ, ვისაც საჩვენებელი თითი არათითზე უფრო გრძელი აქვს, ეს დაავადება ხშირად აწუხებთ, ამასთან დეპრესიულებიც არიან. გრძელი ფეხის თითები — ამერიკელი ქირურგის, დევიდ ჰოული ჰან-ბურნის თქმით, თუ ადამიანს ფეხის მეორე თითი უფრო გრძელი აქვს, ვიდრე დიდი თითი, აწუხებს ოსტეოქონდროზი. ადამიანები, ვისაც დიდი თვალები აქვთ, ძირითადად ახლომხედველები არიან. ოფთალმოლოგების თქმით, თუ თვალის ზომა არსებულ სტანდარტზე ერთი მილიმეტრითაც კი გრძელი იქნება, ბავშვი ახლომხედველი იბადება. რაც შეეხება გრძელ ფეხებს, სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ასეთ ადამიანებს დიაბეტი არასოდეს აწუხებთ.

საღეჭი რეზინი ჭარბი წონის წინააღმდეგ

არგენტინელი დიეტოლოგების განცხადებით, ზედმეტი წონა, რასაკვირველია, არ არის მხოლოდ ესთეტური პრობლემა. ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, გულის იშემიური დაავადება, დიაბეტი, ხერხემლის ტკივილი — ეს ყველაფერი ზედმეტ წონას უკავშირდება, თუმცა, ცნობილია, რომ ვინც ერთხელ მაინც სცადა დიეტის დაცვა, დარწმუნდა, რომ სასურველი შედეგის მიღწევა ადვილი არ არის. ამა თუ იმ საკვების აკრძალვისას ადამიანს უფრო უძლიერდება მადა და შიმშილის გრძნობა. ჭარბწონიანები რომ გაექცნენ მსგავს ფაქტებს, არგენტინელმა სწავლულებმა საღეჭი რეზინი შექმნეს პიტნის არომატით, რომელიც მადას აქვეითებს და ხელს უწყობს გახდომის მსურველ ადამიანებს, შიმშილის გრძნობა დაძლიონ. ახალი კევი მხოლოდ აფთიაქებში გაიყიდება და ყოველგვარი დანიშნულების გარეშე გაიცემა, დიეტოლოგებთან რეკომენდაციის გავლა კი მსურველებს იქვე შეეძლებათ. როგორც სიახლის ავტორები აცხადებენ, საღეჭი რეზინი ბიოლოგიური დანამატებითაა და შაქარს არ შეიცავს. მის შემადგენლობაშია მწვანე ყავის ექსტრატი, კოფეინის გარეშე და სხვა ნატურალურ პროდუქტთა დანამატები, რაც საშუალებას მისცემს ადამიანს, შიმშილის გრძნობა გაუქრეს. ახალი სარეჭი რეზინის გამოყენება, დიეტოლოგების განცხადებით, დღეში 2-3-ჯერ, 15 წუთის განმავლობაშია რეკომენდებული.

უამინდობა ანუ ყვავილ

შესაძლოა, ცოტა უცნაურად ჟღერს, მაგრამ როგორც სწავლულებმა დაასკვნეს, თურმე, ცუდი ამინდი წონის მომატებაში უწყობს ხელს. როცა მზე არ ანათებს, ორგანიზმში არ გამოიყოფა ის ნივთიერება, რომელიც დანაყრების შეგრძნებას უწყობს ხელს და ადამიანს შიმშილის გრძნობა ეუფლება. მოღრუბლული ამინდი, თურმე მადას გვიორმაგებს. ამ დროს ბევრს ვჭამთ და შესაბამისად, წონაშიც ვიმატებთ. ბრიტანელი მკვლვარები გვირჩევენ: ცუდ ამინდში და მით უმეტეს, თუ ცუდ ხასიათზე ხართ, შეარჩიეთ ისეთი საკვები, რომელიც D-ვიტამინს შეიცავს. ასეთი პროდუქტია თევზი, კვერცხი, სოკო.

ტელეკომპანია „თრიალეთი"

032 239 38 23
599 25 13 31

www.trialeti.ge
trialeti@trialeti.ge

თბილისი:
ნუცუბიძის ქ. N12/1

რეკლამა „თრიალეთზე"
დაგვიკავშირდით



1.ბორტგამ-ყოლი ქალი თვითმფრი-ნავში
2. კუბის დედაქალაქი
3.პლან-ეტის ყველაზე მაღალი ხე
4. ტყის ყაყაჩო
5. ხის აღვირი
6.დუმბაძის მოთხრობა ბერძენ ყმაწვილზე
7. ქალაქი იტალიაში
8.ჭადრაკის დედოფლის სახელი
9.სამი ან მეტი მუს. ბგერის ჰარმონიული შეერთება
10.ინგლის. მომღერალი ... ჯონსი
11. ჰიგიენური დაწესებულება
12.პროლე-ტარიატის ერთ-ერთი ბელადი
13. ცის-არტყელას ქალღმერთი
14. წმინდა მოვება ძიუდოში
15.მაუგლის გამზრდელი ბებერი მგელი
16. „საინფორ-მაციო ღრუ“
17. პარკოსანი მცენარე
18.მეათედი ნაწილის აღმნიშვნელი წინსართი
19. ვერდის ოპერა „... კარლოსი“
20. ძვირფასი ქვების წონის ერთეული
21. რუსული ესტრადის პრიმადონა
22.სილვესტერ სტალონეს შინაურული სახელი
23. თხელი, საფლობი ტალახი
24. კუთხე, რომელიც იქმნება მოცემულ მიმარ-თულებასა და ჩრდილოეთის მიმართულებას შორის
25. ფილიპინების დედაქალაქი
26. დიდი ჩაქუჩი
27. ტომ სოიერის და ჰეკლბერი ფინის ავტორი
28. ტუშით ხაზვისას ხმარებული კალამი
29.ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი
30. ქვირითის ყრა თევზებში
31. ევროპის უდიდესი ტბა
32. თოვლის ჯიქი
33. ქართული საიუველირო ფირმა
34. შხამიანი გველის სახე-ობა
35. ძველ. გრძელტარი-ანი სასროლი იარაღი
36. მწერალი ... იოსელიანი
37. რუსი ბარდი ... ოკუჯავა
38.ფრანგი მოდელიორი კრისტიან ...
39. რისამე ფენა, პლასტი
40. დაბალი და ფართო დივანი
41.ბასკური ტერორის-ტული ორგა-ნიზაცია
42. სპორტული ავტომობილი ერთგვარი
43.ხელოვნე-ბის სტილი მე-18ს-ის ევროპაში
44.ერბო-კვერცხის შესაწველი ჭურჭელი
45.გოლიათი არსება ქარ-თულ ზღა-პრებში
46. დღეის წინა დღეს ანუ ...
47. ტექნი-კური ზეთი
48. გო-გირდისთავი-ანი ხის ჩხირი
49. ინგლი-სური როკ-ჯგუფი
50. აგავას მშობლიური „ქვეყანა“
51.რუსეთის ახლანდელი პრემიერ-მინისტრი
52. იაპონელთა ტრადიციული სასმელი
53. ჭადრაკის ფიგურა
54. გამარ-ჯვების ქალღმერთი ბერძნ.მით.
55. ბეწვისგან შეკერილი ჩექმები
56. ფუჭი, უშედეგო
57. ხურდა ფული შვე-დეთში
58.პერსევ-სის დედა ბერძნულ მითოლოგ
59.პარიზის სიმბოლოდ მიჩნეული კოშკი
60. ადამიანის სამეტყველო ორგანო
61. სუნთქვის დროებითი შეჩერება
62.ესპანელი მამაკაცისა და ინდიელი ქალის ქორ-წინების შედე-გად გაჩენილი ადამიანი
63. ევროპელი ებრაელების ენა
64. იტ-ალიელი კინორეჟისორი ... სკოლა
65. გაეროს ერთ-ერთი განყოფილება
66. „... შეიქმს სი-ყვარულსა...“
67. ჩხიკვი ქეთევანის სატრფო
68. შიშველი სხეული ფერწერაში
69. ბიბლიური პატრიარქი
70. ანტილო-პას სახეობა
71. მდინარე გერმანიის დედაქალაქში
72. ზღვის ქაფიდან შობილი ქალღმერთი
73. მხატვრის სახელოსნო
74. სტენდალ-ის ნამდვილი გვარი
75. ინგ-ლისელი მომ-ღერალი და გიტარისტი კრის ...
76.თევზსაჭე-რი მოწყობ.
77.იაპონელ-თა სამოსი
78. ინგ-ლისელი ფეხბურთელი ... კინი
79. სუ-მოისტთა ტურნირი
80. ქრისტია-ნობისთვის წამებული არაბი ჭაბუკი
81. მინერალ-ური წყალი სამაჩაბლოში
82. მღვდელ-მთავართა თავსარქმელი
83. ვოლტერ-ის ნამდვილი გვარი
84. წარსულში ცნობილი პორტუგალიელი ფეხბურ-თელი ... ფიგუ
85. მოდების კატალოგი ქალებისათვის

განქორწინება პოლონურად

პოლონური ფირმა მსურველებს საზეიმო განქორწინების ორგანიზებას სთავაზობს, რადგან მიაჩნიათ, რომ ცხოვრებაში გაყრა არ უნდა იყოს ტრავმატული მოვლენა. ამჟამად პოლონეთში ყველაზე პოპულარული ამგვარი მომსახურება ორივე მეუღლის თანდასწრებით ქორწინების მოწმობის საზეიმო დაწვაა. არის უფრო ორიგინალური წინადადებებიც: მაგალითად, ცოლ-ქმარი „საზეიმოდ“ ყრის საქორწინო ბეჭდებს უნიტაზში, თან მთელი პროცესი ვიდეოფირზე ფიქსირდება. ერთ-ერთმა ფირმამ პოზნანიდან, რომელიც ადრე მხოლოდ ქორწილების ორგანიზებით იყო დაკავებული, გააფართოა მომსახურების არეალი და თუ წყვილი განქორწინებისთვისაც მათ მიმართავს, მათ 80%-იან ფასდაკლებას სთავაზობენ. მომსახურების კომპლექტში შედის ასევე იურისტის, ფსიქოლოგის, უძრავი ქონების ექსპერტების კონსულტაცია, ასევე ტურისტული ფირმების მომსახურებაც, რომელიც განქორწინებულებს დასვენებას შესთავაზებს. ჩანს, პოლონურ ფირმებს საქმე არ გამოელევათ, რადგან ბოლო სტატისტიკური მონაცემებით, ქვეყანაში განქორწინებათა რაოდენობა სწრაფად იზრდება.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.